ვერსია

№13 (1603) 6 — 12 აპრილი ოთხშაბათი 2022 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

„ლაგუნა ვერეს“ სისხლიანი „რაზბორკების“ უცნობი და ექსკლუზიური დეტალები

„კანონიერ ქურდ“ ბადრი კოღუაშვილის ზღაპრული დაბადების დღე მოსკოვის რესტორანში და 300-ათასიანი საჩუქარი

რა გავლენას მოახდენს რუსეთ-უკრაინის ომი ოკუპირებული ტერიტორიების საქართველოსთან ინტეგრაციაზე

„რა არის ასეთი სიფრთხილის ფასი?“ — პაატა ზაქარეიშვილის კითხვა ხელისუფლებას

„ანიგოზის“ წარმატების საიდუმლო

ქართული კაკლის გადამამუშავებელი საწარმო საერთაშორისო სერტიფიკატის მფლობელია

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

აკია ბარბაქაძე: „ომი რომ დაიწყოს, არ გვეცოდინება, რომელ ბუნკერში წავიდეთ და როგორ ვიმოქმედოთ!“

აქვს თუ არა საქართველოს საკმარისი ბუნკერები თავდაცვისთვის

ვიდეომეთვალყურეობას დაქვემდებარებული ობიექტების რაოდენობა გაფართოვდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი – „112“ ახორციელებს ლიცენზირებული, ავტორიზებული, სანებართვო და სარეგისტრაციო დაწესებულებების ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას.

2022 წლის 2 მარტს, მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის №101-ე დადგენილება, რომლის საფუძველზეც, 2023 წლის 1 ივნისიდან, ფართოვდება რეგულაციას დაქვემდებარებული დაწესებულებების რაოდენობა, კერძოდ, არსებულ ობიექტებს დაემატა: კერძო/საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებები; სტაციონარული სამედიცინო დაწესებულებები; სიგარაბარები; სავაჭრო ცენტრები; ბაზარი/ბაზრობა.

ასევე, დაემატა ეკონომიკურ საქმიანობას დაქვემდებარებული ის ობიექტები, რომელთა დღგ-ით დასაბეგრი ბრუნვა, ნებისმიერი წინა უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში, აღემატება 500 000 (ხუთასი ათასი) ლარს (საბითუმო ვაჭრობა; საცალო ვაჭრობა; განთავსების საშუალებით უზრუნველყოფა; საკვებით და სასმელით მომსახურება).

აღნიშნული დაწესებულებების განსაზღვრისას, მხედველობაში იქნა მიღებული, როგორც ეკონომიკური ფაქტორი, ისე ობიექტთა საქმიანობის სპეციფიკური მახასიათებლები. დადგენილებითვე განისაზღვრა ვიდეომეთვალყურეობის სისტემის ტექნიკური მახასიათებლები და ვიდეომეთვალყურეობის სისტემის განთავსების წესები.

განხორციელებული ცვლილებები უზრუნველყოფს დანაშაულის პრევენციას, პირთა უსაფრთხოებისა და საკუთრების უფლების დაცვას.

პოლიციამ „საქართველოს ბანკზე“ ყაჩაღური თავდასხმის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ორი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისში, აფრიკის დასახლებაში მდებარე „საქართველოს ბანკის“ ექსპრეს-ფილიალზე ყაჩაღური თავდასხმის ფაქტზე, წარსულში ნასამართლევი ორი პირი: 1992 წელს დაბადებული დ.ბ. და ამავე წელს დაბადებული გ.ჟ. დააკავეს.

დანაშაული 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღითა და პისტოლეტით შეიარაღებული ბრალდებულები, მიმდინარე წლის 1 აპრილს, საღამოს, თბილისში, აფრიკის დასახლებაში მდებარე „საქართველოს ბანკის“ ექსპრესფილიალში შეიჭრნენ. ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით მოლარე-ოპერატორს ფული გასტაცეს, რა დროსაც დაცვის პოლიციის თანამშრომელმა, დანაშაულის აღკვეთის მიზნით, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლა განახორციელა.

ორივე თავდამსხმელი მსუბუქად დაიჭრა, თუმცა ბრალდებულებმა ბანკის ტერიტორიის დატოვება მოახერხეს, ჩასხდნენ იქვე მდგომ ავტომობილში და იარაღის მუქარით აიძულეს მძღოლი, რომ ისინი კონკრეტულ მისამართზე წაეყვანა.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, რამდენიმე საათში დაადგინეს თავდამსხმელების ვინაობა და ადგილმდებარეობა. პოლიციამ ორივე მათგანი მომხდარიდან მალევე, ცხელ კვალზე დააკავა.

ბრალდებულების დაკავების ადგილას, საცხოვრებელი ბინის ფარდულის ჩხრეკისას ამოღებულ იქნა დანაშაულის ჩადენის იარაღები, ხოლო ავტომანქანიდან, რომლითაც თავდამსხმელებმა შემთხვევის ადგილი დატოვეს, ამოღებულია ბანკიდან წაღებული ფულის ნაწილი.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს, რაც ჯგუფურად ჩადენილ ყაჩაღობას და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს.

პოლიციამ ქუთაისში მომხდარი მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1995 წელს დაბადებული ს.ყ. თერჯოლის მუნიციპალიტეტში დააკავეს. მას ბრალად განზრახ მკვლელობა ედება.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ქალმა, მიმდინარე წლის 31 მარტს, ქუთაისში, მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკში, კონფლიქტის შედეგად წარმოქმნილი ურთიერთშელაპარაკებისას, მეგობარ მამაკაცს – 1979 წელს დაბადებულ ტ.კ.-ს, ცივი იარაღის გამოყენებით, კისრის არეში ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ს.ყ. მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავეს. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს რუსთავის სტრუქტურულ ერთეულში ახალი შენობა გაიხსნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს რუსთავის ცენტრალურ დეპარტამენტში, მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში, გაიხსნა და ექსპლუატაციაში შევიდა ახალი შენობა, რომელიც განკუთვნილია სატრანსპორტო საშუალების რეექსპორტის, ექსპორტის, იმპორტის, შესაბამისი საბაჟო პროცედურების განხორციელებისთვის.

ახალი, თანამედროვე სტანდარტების შენობა უახლესი ტექნიკითა და ინვენტარითაა აღჭურვილი. შენობის ინფრასტრუქტურა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებებზე სრულად მორგებულია.

დაინტერესებული პირები ახალ შენობაში ახორციელებენ სატრანსპორტო საშუალებების რეექსპორტს, ექსპორტს, იმპორტს, შესაბამის საბაჟო პროცედურებს, ასევე პირველად რეგისტრაციას. შენობაში მზადდება და გაიცემა სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო სანომრე ნიშნები და სარეგისტრაციო მოწმობები.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში დაგეგმილი და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში, სერვისის გაუმჯობესების მიზნით, მთელი ქვეყნის მასშტაბით, სამშენებლო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ევროპის საბჭოს პროექტის მმართველი კომიტეტის შეხვედრაში მონაწილეობდა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, ალექსანდრე დარახველიძე ევროპის საბჭოს (COE) პროექტის – „ადამიანის უფლებების დაცვით საპოლიციო ზომების გატარება საქართველოში“ – მმართველი კომიტეტის პირველ შეხვედრაში მონაწილეობდა.

ღონისძიება შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძემ, ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის ხელმძღვანელის მოადგილე სტეფან სირბუმ, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსმა კარლო კაციტაძემ, სახალხო დამცველის მოადგილე გიორგი ბურჯანაძემ და ევროპის საბჭოს (COE) პოლიციისა და თავისუფლების აღკვეთის საკითხებზე თანამშრომლობის მე-2 განყოფილების ხელმძღვანელმა, დონჩე ბოშკოვსკიმ გახსნეს.

შეხვედრის მონაწილეებმა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სხვა პარტნიორი უწყებების მიერ, პროექტის ფარგლებში, მომავალი eqvsi თვის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობები განიხილეს.

ალექსანდრე დარახველიძემ აღნიშნა, რომ ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობით, შინაგან საქმეთა სამინისტროში, ტერიტორიული და სტრუქტურული ერთეულების რიგით და მენეჯერულ პოზიციაზე მყოფი პირებისათვის გადამზადების არაერთი ტრენინგი და სწავლება ჩატარდა. მინისტრის მოადგილემ ხაზი გაუსვა მიმდინარე წელს, ევროპის საბჭოს მხარდაჭერით განხორციელებული პროექტების მნიშვნელობას, ასევე შეაჯამა მნიშვნელოვანი აქტივობები და მიღწეული შედეგები.

ალექსანდრე დარახველიძემ ევროპის საბჭოს მადლობა გადაუხადა შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაძლებლობების გაძლიერებაში მხარდაჭერისთვის.

ღონისძიების დასასრულს, მხარეებმა სამომავლო თანამშრომლობის გაგრძელების მზაობა გამოთქვეს.

აღნიშნული პროექტი შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სხვა პარტნიორ უწყებებთან მჭიდრო თანამშრომლობით, 2021 წლიდან ხორციელდება. პროექტის მიზანია, საქართველოს ხელისუფლების მხარდაჭერა საპოლიციო საქმიანობის ეფექტიანი და ანგარიშვალდებული წესით შესრულების მონიტორინგში, ადამიანის უფლებების სტანდარტების გაძლიერების გზით.

თურქეთიდან იმპორტირებული მედიკამენტის სრული სია, რომელსაც აფთიაქებში იაფად შეიძენთ

მაკა რუხაძე

ინფლაციის მიუხედავად, საქართველოში მედიკამენტები არ გაძვირდება!

პანდემიასა და პოსტპანდემიას ახლა უკვე რუსეთის უკრაინაში შეჭრა დაემატა. ცხადია, ამას ინფლაციის მაღალი დონე მოჰყვა და ეს არცაა გასაკვირი, რადგან რუსეთიცა და უკრაინაც საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებია. პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, მთავრობა ამ პრობლემას გააზრებით ეკიდება და შესაბამის ნაბიჯებსაც დგამს, რათა ეკონომიკურ ზრდას მიაღწიოს. სხვა ნაბიჯებთან ერთად, რომლებსაც „ვერსიაში“ ეტაპობრივად შემოგთავაზებთ, მნიშვნელოვანია მედიკამენტების გაიაფება. უფრო ზუსტად, ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით, თურქული ფარმაცევტული ბაზარი ოფიციალურად გაიხსნა. თითქმის ერთი თვეა, საქართველოს აფთიაქებში 31 დასახელების მედიკამენტს, 80%-ით იაფად შეიძენთ. პირველი ორი კვირა, თურქულ მედიკამენტებს მხოლოდ „ფარმადეპოში“ შეიძენდით, მაგრამ მოგვიანებით, იაფი წამლები PSP-შიც გამოჩნდა. „ვერსია“ ამ მედიკამენტების სრულ ჩამონათვალს გთავაზობთ. იმისთვის, რომ განსხვავება უფრო თვალშისაცემი იყოს, ექიმებისა და ფარმაცევტების დახმარებით, ამავე მედიკამენტების ძველ ფასებსაც შეგახსენებთ. თუმცა მანამდე, თვალი გადავავლოთ ჯანდაცვის რეფორმასა და განსაკუთრებით საყოველთაო დაზღვევის პროგრამაში არსებულ ხარვეზებს, რის გამოც მთავრობა მედიკამენტების გაიაფებაზე დაფიქრდა.

თურქული მედიკამენტების საქართველოში შემოსვლას წინ თითქმის ერთწლიანი მუშაობა უძღვოდა. ზუსტად ერთი წლის წინ, საქართველოს მთავრობამ კანონპროექტზე დაიწყო მუშაობა, რათა ქვეყანაში ხარისხიანი მედიკამენტები ხელმისაწვდომ ფასად შემოეტანა. ფაქტია, საქართველოში წამლები ძალიან ძვირია, იმდენად ძვირი, რომ სახელმწიფოს მიერ ამა თუ იმ ოპერაციის დასაფინანსებლად გამოყოფილი საკმაოდ სოლიდური თანხაც კი წყალში გადაყრილად ითვლება. ის, რომ სახელმწიფო თავის მოქალაქეებს ეხმარება და საყოველთაო დაზღვევის პროგრამის ფარგლებში, ოპერაციებს უფინანსებს, საკმაოდ დიდი შეღავათია, ოღონდ ცოტა ხნით. როგორც კი პაციენტი საავადმყოფოდან გაეწერება და ექიმის დანიშნულებით ხელში ამა თუ იმ აფთიაქში შევა, მიხვდება, რომ გაცილებით დიდ პრობლემას გადააწყდა, ოღონდ ამ ეტაპზე, მას უკვე აღარავინ ეხმარება. საკმაოდ ძვირადღირებული, მაგრამ აუცილებლად საჭირო მედიკამენტების შეძენა თავად უწევს, ეს იმდენად მძიმე ტვირთია, რომ უკვე ვეღარც ხვდება, სინამდვილეში, რა დახმარება გაუწია სახელმწიფომ, როდესაც მისი ოპერაცია დააფინანსა. სწორედ ეს პრობლემაა ძირითადი მიზეზი, რის გამოც საშუალო შემოსავლების მქონე ოჯახი, თუნდაც ერთი წევრის მძიმე ავადმყოფობის გამო, უკიდურესად ღარიბდება.

ჯანდაცვის რეფორმის უმთავრესი პრობლემა, სწორედ პოსტოპერაციის პერიოდია, როდესაც პაციენტი ექიმის დანიშნულების შესრულებას იწყებს. დამეთანხმებით, რომ ამას გვერდს ვერცერთი პაციენტი აუვლის, მნიშვნელობა არ აქვს, რა სირთულის ოპერაცია გაიკეთა, რადგან ექიმის დანიშნულება აუცილებლად უნდა შეასრულოს ანუ ის მედიკამენტები უნდა იყიდოს, რომელიც საავადმყოფოდან გაწერის დროს, ექიმმა დაუნიშნა. პირდაპირ ვთქვათ, ერთი მხრივ, სახელმწიფო ეხმარება ოჯახს, როდესაც ოპერაციას აფინანსებს, რაც ძალიან დიდი დახმარებაა, მეორე მხრივ კი, ფარმაცევტული კომპანიები ატყავებენ იგივე პაციენტს, რადგან მედიკამენტები ძალიან ძვირია.

პოსტოპერაციული პერიოდის მართვა საკმაოდ ხანგრძლივი და რთული პროცესია. რეალურად, ასეთ სურათს ვიღებთ: ოპერაცია, რომელიც სახელმწიფოს დახმარებით გაკეთდა, თითქოს აღარაფერს ნიშნავს, რადგან პაციენტსა და მისი ოჯახს აღარ შესწევს უნარი, ეს პროცესი მართოს – ამ ეტაპზე, უკვე აღარავინ ეხმარება, არადა, საკმაოდ ძვირადღირებული მედიკამენტები სჭირდება.

* * *

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა, ზურაბ აზარაშვილმა, ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში განაცხადა, რომ მალე, საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე, ახლა არსებული 31 დასახელების ნაცვლად, თურქეთიდან შემოსული 200-მდე დასახელების მედიკამენტი იქნება ხელმისაწვდომი. მინისტრის თქმით, საერთაშორისო – GMP სტანდარტის, მაღალი ხარისხის მედიკამენტების იმპორტი საქართველოში ყველა წესისა და კანონმდებლობის სრული დაცვით ხორციელდება.

ახლა, თურქეთიდან იმპორტირებული იმ 31 მედიკამენტის ჩამონათვალს გთავაზობთ, რომელსაც აფთიაქებში ბევრად იაფად შეიძენთ:

„აკლასტა“ ხსნარი საინფუზიო, ძვალ სახსროვანი დაავადებების სამკურნალო საშუალება – ღირდა 867 ლარი, ახლა 223 ლარია მისი ფასი;

„არიმედექსი“, ჰორმონალური წამალი – ღირდა 80.00 ლარი, ახლა – 13.00 ლარი;

„ატაკანდი“, წნევის მარეგულირებელი საშუალება – ღირდა 80.00 ლარი, ახლა – 12.00 ლარი;

„ბეტასერკი“, ვესტიბულარული აპარატის პათოლოგიის დროს გამოსაყენებელი პრეპარატი – ღირდა 36.00 ლარი, ახლა – 8.90 ლარი;

„ბრილინტა“, ანტითრომბოზული და შედედების საწინააღმდეგო საშუალებები – ღირდა 221 ლარი, ახლა – 48.00 ლარი;

„გალვუს მეტი“, დიაბეტის შემთხვევაში გამოსაყენებული მედიკამენტი, შაქრის დამწევი – ღირდა 82.00 ლარი, ახლა – 31.00 ლარი;

„გალვუსი“, შაქრიანი დიაბეტის სამკურნალო საშუალება – ღირდა 64.00 ლარი, ახლა – 31.00 ლარი;

„გლიფორი“, შაქრიანი დიაბეტის სამკურნალო საშუალება – ღირდა 16.00 ლარი, ახლა – 10.00 ლარი;

„გლუკოფაჟი“, შაქრიანი დიაბეტის სამკურნალო საშუალება – ღირდა 35.00 ლარი, ახლა – 9.90 ლარი;

„დიოვანი“, წნევის მარეგულირებელი საშუალება – ღირდა 41.00 ლარი, ახლა – 9.00 ლარი;

„ვოლტარენი ემულგელი“, ანთების საწინააღმდეგო არასტეროიდული საშუალება – ღირდა 17.00 ლარი, ახლა – 6.00 ლარი;

„იანუვია“, შაქრიანი დიაბეტის სამკურნალო საშუალება – ღირდა 122 ლარი, ახლა – 26.00 ლარი;

„იანუმეტი“, შაქრიანი დიაბეტის სამკურნალო საშუალება – ღირდა 135 ლარი, ახლა – 26.00 ლარი;

„ინსულინი ლანტუსი სოლოსტარ ხსნარი საინექციო“, შაქრიანი დიაბეტის სამკურნალო საშუალება – ღირდა 238 ლარი, ახლა – 43.00 ლარი;

„კო-დიოვანი“, წნევის მარეგულირებელი საშუალება – ღირდა 47.00 ლარი, ახლა – 10.00 ლარი;

„კონკორი“, წნევის მარეგულირებელი საშუალება – ღირდა 19.00 ლარი, ახლა – 8.00 ლარი;

„კრესტორი“ 10 მგ, ნივთიერებათა ცვლაზე მოქმედი საშუალება – ღირდა 56.00 ლარი, ახლა – 7.00 ლარი;

„კრესტორი“ 20 მგ, ნივთიერებათა ცვლაზე მოქმედი საშუალება – ღირდა 111 ლარი, ახლა – 10.00 ლარი;

„პლავიქსი“, პერიფერიული სისხლის მიმოქცევის გასაუმჯობესებელი საშუალება – ღირდა 29.00 ლარი, ახლა – 14.00 ლარი;

„სერეტიდი დისკუსი ფხვნილი საინჰალაციო“, ბრონქების კუნთების მომადუნებელი საშუალება – ღირდა 63.00 ლარი, ახლა – 26.00 ლარი;

„სიმბიკორტი ტურბოჰალერი ფხვნილი საინჰალაციო“ 80 მკგ, ბრონქების კუნთების მოსადუნებელი საშუალება – ღირდა 67.00 ლარი, ახლა – 30.00 ლარი;

„სიმბიკორტი ტურბოჰალერი ფხვნილი საინჰალაციო“ 160 მკგ, ბრონქების კუნთების მოსადუნებელი საშუალება – ღირდა 84.00 ლარი, ახლა – 15.00 ლარი;

„სირდალუდი“, კუნთების ეფექტური დამამშვიდებელი, ცენტრალური მოქმედების მიორელაქსანტების ჯგუფის სამკურნალო საშუალება – ღირდა 11.00 ლარი, ახლა – 5.00 ლარი;

„ტენორეტიკი“, ჰიპერტენზიის სამკურნალო საშუალება (არტერიული წნევა) – ღირდა 47.00 ლარი, ახლა – 7.00 ლარი;

„ფორქსიგა“, შაქრიანი დიაბეტის სამკურნალო საშუალება – ღირდა 131 ლარი, ახლა – 36.00 ლარი;

„ქსარელტო“ ტაბლეტი 15მგ /TR/ – ღირდა 198 ლარი, ახლა – 55.00 ლარი;

„ჯესი ტაბლეტი“ 0.02მგ+3მგ #28 – ახლა მისი ფასია 19.98 ლარი.

რა გავლენას მოახდენს რუსეთ-უკრაინის ომი ოკუპირებული ტერიტორიების საქართველოსთან ინტეგრაციაზე

თათია გოჩაძე
598-43-50-34

რუსეთის მიერ უკრაინაზე სამხედრო თავდასხმიდან უკვე თვეზე მეტი გავიდა და მხარეებმა შესაძლო ზავთან დაკავშირებით მოლაპარაკებები თურქეთში, 29 მარტს დაიწყეს. უკრაინა დანებებას არ აპირებს, რუსეთი კი დასავლეთის მიერ დაწესებული უმკაცრესი სანქციების გამო, დღითიდღე ეკონომიკურად სუსტდება. ამ ფონზე, საქართველოში, სეპარატისტული ძალები აქტიურდებიან. რუსეთის ფედერაციასთან შეერთების საკითხზე, ოკუპირებული ცხინვალის რეგიონში, უახლოეს მომავალში, რეფერენდუმს გეგმავენ, ხოლო 10 აპრილს, ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნები ტარდება. „სამხრეთ ოსეთის გაერთიანება ჩრდილოეთ ოსეთთან, რუსეთის ფედერაციაში, ეს ოსების ეროვნული ოცნებაა და აფხაზეთი მხარს უჭერს მოძმე რესპუბლიკის მცხოვრებლების ასეთ მისწრაფებას", – განაცხადა ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. უშიშროების საბჭოს მდივანმა, სერგეი შამბამ. რაც შეეხება აფხაზეთის რუსეთთან შეერთების შესაძლებლობას, შამბას თქმით, ასეთი განწყობები არც პოლიტიკურ წრეებში და არც აფხაზეთის საზოგადოებაში არ არსებობს. საქართველოს საგარეო საქმეთა ექსმინისტრი, დავით ზალკალიანი კი აცხადებდა, რომ ხელისუფლება არ დაუშვებს განმეორდეს ის, რაცმოხდა 2008 წელს... მან განაცხადა, რომ ქვეყანა არ გამოიყენებს ძალას ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად. აქვე აღსანიშნავია, რომ ოკუპირებული ტერიტორიების სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებაზე რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციები უკვე მძიმედ აისახა და დიდი ალბათობით, პროცესი კიდევ უფრო გამწვავდება, რასაც სოხუმში საპროტესტო ტალღები უკვე მოჰყვა. რუსეთ-უკრაინის გადამწყვეტ მოლაპარაკებებსა და საქართველოს კონტექსტზე გლობალურ ჭრილში, ოკუპირებული ტერიტორიების მშვიდობიანი ინტეგრაციის პერსპექტივებსა და გამოწვევებზე, „ვერსია" ყოფილ სახელმწიფო მინისტრს რეინტეგრაციის საკითხებში, პაატა ზაქარეიშვილს ესაუბრა.

„რა არის ასეთი სიფრთხილის ფასი?" – პაატა ზაქარეიშვილის კითხვა ხელისუფლებას

– ბატონო პაატა, როგორ აფასებთ რუსეთ-უკრაინას შორის ისტორიული მოლაპარაკების დასაწყისს?

– დაიწყო პროცესი, რომელიც შეიძლება, აღმოჩნდეს ისტორიული. გამოიკვეთა, რომ რუსეთი მიხვდა, ვერ დაიმორჩილა უკრაინა და მზადაა, დაყაბულდეს მხოლოდ დონეცკის, ლუგანსკის ოლქებსა და ყირიმს, რომელიც ისედაც აღებული ჰქონდა. 15 წლით ვერ იფორმებს ამ რეგიონებს, უკრაინა ამაზე არ თანხმდება, რაც საინტერესოა და რასაც ჩვენ ვერასდროს მივაღწიეთ. თუ რამდენიმე თვეში არ წავიდა, 15 წელი მაინც არ იქნება პუტინი რუსეთის მმართველი, მსოფლიომ რომც აიტანოს. ამიტომ ეს გათვლა იმაზეა, რომ რუსეთში სიტუაცია შეიცვლება და დაუბრუნდება ყირიმის, დონეცკისა და ლუგანსკის საკითხს უკრაინის სასარგებლოდ. მოკლედ, სწორია, რომ საზღვრავ დიდი ვადით, ამ დროს კი იცვლება პროცესები და საზოგადოებაც მშვიდადაა.

– რუსეთი სანდოა ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში? საქართველოს ამ მხრივ, ხომ მწარე გამოცდილება აქვს?

– დიახ, მწარე გამოცდილება გვაქვს, რაც არ გვასვენებს. რუსეთმა 1993 წლის ივლისში, ჯარები გამოგვაყვანინა აფხაზეთიდან და სექტემბერში ისე აიღო, რომ ჯარები არ გვყავდა, წინააღმდეგობა გაგვეწია. არადა აღმოჩნდა, რომ თურმე, საკმარისი ძალა გვყავდა ამისთვის. მნიშვნელოვანია, რომ რუსეთს ჯარები გაჰყავს კიევიდან, მაგრამ უკან კი არ აბრუნებს, დონეცკსა და ლუგანსკში მიჰყავს და ამით აძლიერებს მეორე ფრონტს. რუსეთმა, შეიძლება, ნებისმიერ დროს დაარტყას კიევს და უკრაინას მაინც მოუწევს დედაქალაქის დაცვა, ამ დროს კი რუსეთი გაძლიერდება აღმოსავლეთ ფრონტზე და შეიძლება, ორმაგი ძალებით შეუტიოს, შედარებით იოლად აიღოს აღმოსავლეთ უკრაინა მაინც. უკრაინას ადარდებს თავისი ხალხი და იძულებულია, წავიდეს ცეცხლის შეწყვეტაზე, თუმცა მაინც მოგებულ პოზიციაშია. აქვე აღსანიშნავია, რომ ჯერ არც ერთ ქვეყანას, რომელიც უკრაინამ დაასახელა გარანტორად, არ დაუდასტურებია, რომ მზად არიან, აღნიშნულისთვის. იმედი მაქვს, მოლაპარაკებები მიდიოდა და ამ სახელმწიფოებიდან გარანტიები უკრაინას აქვს. მეორე მხრივ, ამდენი სახელმწიფოს დასახელება ცოტა მეუცნაურება. სჯობდა, 5 ძლიერი სახელმწიფო ყოფილიყო, მათ შორის, თურქეთი, აშშ და სხვა წამყვანი ქვეყნები. ამ 15 წელიწადში, ვითარება ხომ შეიცვლება და დღეს მიცემული გარანტია, შეიძლება, ხვალ შეიცვალოს.

– თუ უკრაინა და რუსეთი რამე შეთანხმებაზე დაზავდებიან და შეწყდება საომარი მოქმედებები, როგორ იმოქმედებს დასავლეთი რუსეთის ეკონომიკურად დასუსტების თვალსაზრისით?

– ყველას არა, მაგრამ საბანკო სანქციებს მოუხსნიან, რაც აზიანებს თვით დასავლეთსაც, თუმცა ვინაიდან უკრაინა ასე დაქცეული და განადგურებულია, რუსეთს დააკისრებენ კომპენსაციას. რუსეთს არ მისცემენ ჯერ საშუალებას, მსოფლიო ეკონომიკაში ხელახლა ჩაერთოს. რუსეთის ნებისმიერი ფინანსური აქტიურობა წავა უკრაინის სასარგებლოდ, სანქციები ამ ფორმით გაგრძელდება და საბოლოოდ მოიხსნება მაშინ, როცა პუტინი წავა ხელისუფლებიდან. არავის და მათ შორის, არც საქართველოს, არ უნდა აწყობდეს რუსეთის დაშლა.

– რატომ?

– ყველაზე რთული რეგიონი ჩრდილო კავკასიაა. თუ პუტინი წავა, რუსეთი შეიცვლება, გაიყვანს ჯარებს ოკუპირებული ტერიტორიებიდან, ყველა საერთაშორისო ვალდებულებას შეასრულებს, გადაიხდის ჯარიმებს – მაშინ მსოფლიოს ურჩევნია, ერთ სახელმწიფოსთან ჰქონდეს ურთიერთობა. თუ დაიშალა, ჩვენს მეზობლად, უცებ, სულ ცოტა, 4-5 სახელმწიფო წარმონაქმნი გაჩნდება, რომლებიც ერთმანეთში იომებენ, რაც უამრავი გამოწვევის წინაშე დაგვაყენებს. ამიტომ, გვირჩევნია, ნორმალურ რუსეთთან გვქონდეს ურთიერთობა, რომელიც გაიყვანს ჯარებს საქართველოდან და ამ შემთხვევაში, აუცილებლად უნდა ვიმეგობროთ ახალ რუსეთთან.

– ახლა ცივილიზებული დასავლეთი ებრძვის ტოტალიტარიზმს და ცდილობს, რუსეთი აქციოს ნორმალურ სახელმწიფოდ – ზოგად ჭრილში, ვითარება ასეთია, არა?

– დიახ. ყოველი უკრაინელი ახალგაზრდა, რომელიც ახლა იღუპება, მსოფლიოსთვის იბრძვის და არა მხოლოდ უკრაინისთვის. უნიკალური რამ ხდება მსოფლიოში. საბჭოთა კავშირის დაშლა არ ყოფილა ასეთი კატასტროფული შედეგის მომტანი იმასთან შედარებით, რაც დღეს ხდება უკრაინის ომში.

დრო იხელთა დასავლურმა დემოკრატიამ და ბარემ უნდა, რომ ერთხელ და სამუდამოდ, რუსეთი მოსვას თავის ადგილზე, რათა სახელმწიფო გახდეს. არ არსებობს რუსეთის იმპერია, არსებობს რუსეთის სახელმწიფო, ამიტომ უნდა დამშვიდდნენ და დაწყნარდნენ. ახლა კი ამ „დამშვიდების წამალს" უკეთებს დასავლეთი რუსეთს.

– საინტერესოა, რა მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს ამ გლობალურ კონტექსტში? როგორ უნდა იმოქმედოს ჩვენმა ხელისუფლებამ?

– ვილაპარაკებ იმაზე, როგორ უნდა იმოქმედოს საქართველომ, მაგრამ ვერ წარმომიდგენია, როგორ იმოქმედებს „ქართული ოცნების" ხელისუფლება, რადგან რეალობიდან არიან ამოვარდნილები და ელემენტარულ გამოწვევას ვერ პასუხობენ. ხელისუფლება ცდილობს, არავინ გააღიზიანოს, იყოს თავისთვის და არ მოექცეს ყურადღების ცენტრში. თუმცა, დემოკრატიული სახელმწიფო საქართველო, როგორიც დღეს არაა, ახლა უნდა ცდილობდეს, კარგი ურთიერთობა ჰქონდეს ნატო-სთან, განსაკუთრებით, თურქეთთან... თურქეთი ძლიერდება კავკასიაში, რუსეთი კი სუსტდება, ახლა ვნახეთ, რომ ყველა მიმართულებით სუსტდება და ჩვენ მთელ მსოფლიოსთან ერთად უნდა „დავეხმაროთ" რუსეთს, მეტად დასუსტდეს. ხმა უნდა ამოვიღოთ და ვთქვათ, რომ ჩვენ ვართ უკრაინა.

დასასრული მე-5 გვერდზე

რა გავლენას მოახდენს რუსეთ-უკრაინის ომი ოკუპირებული ტერიტორიების საქართველოსთან ინტეგრაციაზე

მე-4 გვერდიდან

ჩვენ არ ვართ სხვა სახელმწიფოები, რომლებიც კარგ საქმეს აკეთებენ. ჩვენ დაზიანებულები ვართ რუსეთისგან ზუსტად ისე, როგორც უკრაინა. მასშტაბები სხვაა, მაგრამ 100 კაცი მოკვდება თუ 1000, ამ 100 კაცის ოჯახისთვის ეს ისეთივე ტრაგედიაა, როგორც იმ 1000-ისთვის! ამიტომ გარდაცვლილებს ვერ დავითვლით და ჩვენი ამოცანა ახლა უნდა იყოს, რომ გავაძლიეროთ უკრაინა. რუსეთის იმპერიალიზმმა ჯერ საქართველოში „შეიწმინდა ფეხები“ და შემდეგ გადავიდა უკრაინაზე. მოკლედ, ჩვენ უკრაინას კი არა, უკრაინის საკითხით ჩვენს თავს უნდა ვეხმარებოდეთ. ამიტომ სულ ცოტა, საჭიროა, სიმბოლურად მივუერთდეთ სანქციებს. თავის დროზე, რუსეთმა ჩაგვიკეტა საჰაერო მიმოსვლა და ამის გამო, ჩავუკეტოთ საჰაერო საზღვარი, რა პრობლემაა? – არ გვინდა ეს? – კარგი! მაშინ ვილაპარაკოთ იმაზე, რომ საქართველო არის ოკუპირებული, საჭიროა დეოკუპაცია და ის, რომ რუსეთმა შეასრულოს მის მიერ ხელმოწერილი 12 აგვისტოს შეთანხმება.

ბრწყინვალე შანსი გვაქვს ახლა, მივმართოთ მსოფლიოს და ვუთხრათ, რუსეთ-უკრაინის ზავის ხელმოწერას რომ აპირებთ, რა გარანტია გაქვთ, რომ რუსეთი ვალდებულებას შეასრულებს, რადგან ჩვენს მიმართ, მსგავსი არაფერი გაუკეთებია. ახლა წამოვა ევროკავშირის, ნატო-ს, აშშ-ის კონგრესის რეზოლუციები და ყველა მათგანში, უკრაინის გვერდით უნდა ეწეროს აუცილებლად, საქართველო. უნდა ეწეროს, რომ რუსეთი არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, რომ უკანონოდ აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. ევროპა რუსეთს უნდა ეუბნებოდეს, არ მოგიხსნით სანქციებს, ვიდრე არ გაიყვან ჯარებს საქართველოდანო.

მაგრამ რადგანაც ხმას არ ვიღებთ, მათ ისედაც უამრავი პრობლემა აქვთ... როცა მოვთხოვთ, გაუჭირდებათ, რადგან თვითონ აქვთ აღიარებული, რომ საქართველოს დეოკუპაციაა საჭირო და რუსეთმა უნდა გაიყვანოს ჯარები საქართველოდან. ეს უნდა შევახსენოთ დასავლეთს, მაგრამ ჩუმად ვართ და ეს ძალიან შემაშფოთებელია!

– ბატონო პაატა, ამ საკითხზე პასუხს ყველაზე კარგად გამოხატავს ერთგვარი რიტორიკული კითხვა, რომელიც ბოლო დროს ხშირად გვესმის – „აბა, ომი გინდათ?“...

– ეს არის სუფთა დემაგოგია და არავითარი საფუძველი არ არსებობს, რუსეთს აწყობდეს ომი საქართველოსთან. ამ პარლამენტის მიერ, შარშან, 2 აგვისტოს მიღებულ რეზოლუციაში წერია, რომ გმობენ რუსეთის აგრესიას და საჭიროა, რუსეთმა გაიყვანოს ჯარები. მაშინ რუსეთს ამაზე ომი ხომ არ დაუწყია? ამაზე რეაგირებაც კი არ ჰქონია. ამ რეზოლუციაზე მხოლოდ სოხუმმა და ცხინვალმა გააკეთეს მკვახე განცხადებები და აქედან გამომდინარე, უნდა დავუსვათ კითხვა ხელისუფლებას – „რა ომი, რის ომი?“... გაეროს რეზოლუციას რომ ხმას აძლევდით რუსეთის წინააღმდეგ, რატომ არ ფიქრობდით, რომ ომი დაიწყებოდა? ჰაგის სასამართლოში რომ შეიატანა სარჩელი უკრაინამ და ჩვენ ხმა მივეცით ამას, ე.ი. ჩვენ გვაქვს პრეტენზია, რომ რუსეთი არის სისხლის სამართლის დამნაშავე, აქ რატომ არ არის ომზე საუბარი?... ამიტომ ჩამოყალიბდით! ნუ ფარისევლობთ და დემაგოგობთ! არავითარი საერთო ამ ყველაფერს არ აქვს ომთან. ის გააკეთეთ, რასაც აკეთებდით და ამის გამო, რუსეთი არასდროს ღიზიანდებოდა. აქ პრობლემა ისაა, რომ საქართველოს ახლა არ უნდა, მსოფლიოს აჩვენოს, რომ ის არის უკრაინა და რომ რუსეთის აგრესია არ არის გამონაკლისი უკრაინის შემთხვევაში. რასაც ადრე ამბობდნენ, იმას დღეს აღარ ამბობენ.

– ამის მიზეზი რა შეიძლება იყოს?

– აქ ჩანს სწორედ რუსული ნარატივი. რუსეთს არ აწყობს, მსოფლიომ ნახოს, რომ ასეთი „ქეისი“, რომელიც აქვს უკრაინასთან, ადრე ჰქონდა საქართველოსთანაც. ნახეთ, როგორ გვეფერებიან? რა სამარცხვინო და დამამცირებელი განცხადება გააკეთა კარასინმა, როგორც იქნა, საქართველო გამოკეთდაო! მათ უნდათ, რომ საქართველო არ იყოს მაგალითი რუსეთის აგრესიისა. რა ისტორიული ფაქტებიც ჩამოვთვალე, ყველგან საქართველო ათქვეფილია სხვა სახელმწიფოებთან, ცალკე კი არა, როგორც მსხვერპლი, არამედ, სხვა ათობით სახელმწიფოს რიგშია და რუსეთი ამას პატიობს.

რუსეთისთვის მთავარია, ინდივიდუალურად არ აჩვენოს საქართველომ მსოფლიოს, რომ რუსეთი ასე საშიშია. არადა, ერთადერთი სახელმწიფო, უკრაინის გარდა, რომელმაც იწვნია პუტინის იმპერიალიზმი, არის საქართველო, ამიტომ რუსეთს არ უნდა ჩანდეს საქართველო, როგორც პუტინის მსხვერპლი.

– ბატონო პაატა, რა პერსპექტივა იხსნება იმისთვის, რომ მიმდინარე მოვლენების ფონზე, დაიძრას ოფიციალურ თბილისსა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობას შორის მშვიდობიანი მოლაპარაკების პროცესი? აქვე საგულისხმოა, რომ სოხუმსა და ცხინვალში საპროტესტო ტალღები იმატებს რუსეთის მიმართ.

– ამ პერსპექტივას ვხედავდი ყარაბაღის ომამდე. იქამდე, აფხაზეთის ხელისუფლება ჯიუტად და პრინციპულად მოითხოვდა საქართველოსთან დიალოგს, რაც მათ ე.წ. საგარეო პოლიტიის დოკუმენტში ეწერათ. როგორც კი 9 ნოემბერს ხელი მოეწერა ცეცხლის შეწყვეტას ყარაბაღის მიმართულებით აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის, პუტინმა იპოვა დრო და 12 ნოემბერს ხელი მოაწერა აფხაზურ მხარესთან „კანონების ჰარმონიზაციას“. ამის შემდეგ შეწყვეტეს საუბარი აფხაზებმა საქართველოსთან დიალოგის აუცილებლობაზე. ჩვენთან კი ამბობდნენ, რუსეთის პროექტია დიალოგის აუცილებლობაზე საუბარიო... ამ ხელისუფლებამ მოახდინა სრული დისკრედიტაცია თავისი პოლიტიკისა აფხაზეთის და სამაჩაბლოს მიმართულებით, რადგან იქიდან მოდიოდა იმპულსები და ესენი არ პასუხობდნენ. შეიძლება, უკრაინის ფენომენმა არსებითად შეცვალოს სიტუაცია, მაგრამ საჭიროა, მათთან პირდაპირ დიალოგები, რათა ვილაპარაკოთ იმაზე, რაც მათ აწუხებთ, მაგალითად, ეკონომიკურ საკითხებზე...

რუსეთი ეკონომიკურად ძალიან დასუსტდება და დიდი წნეხი იქნება აფხაზეთზე. ამ დროს უნდა შევთავაზოთ, რით დავეხმაროთ, ოღონდ არ მოვთხოვოთ არანაირი პოლიტიკური გადაწყვეტილებები – ახლა არ არის ამის დრო. თუ ჩვენ დღეს პირობებს წავუყენებთ, რომ ჯერ დევნილებს დავაბრუნებთ და შემდეგ დაგეხმარებით-თქო, გაჩერდება პროცესები. ვიდრე ჩვენ „ჯერ“ რაღაცას ვთავაზობთ, არასდროს არაფერი გამოგვდის. ამიტომ ახლა არასაჯაროდ უნდა იყოს ლაპარაკი იმაზე, რა შეიძლება, გავაკეთოთ ისეთი, რაც მათთვის მისაღებია და ჩვენთვის არასაზიანო... არის რესურსები და საშუალებები, რომ ამაზე დაიწყოს საუბარი.

ვინმეს რომ გაიტაცებდნენ, როცა მინისტრი ვიყავი, პირდაპირ სოხუმსა და ცხინვალში ვრეკავდი, პირდაპირი კონტაქტები მქონდა. ახლა კი ამბობენ, ცხელ ხაზზე დავრეკეთო, მათ არ აქვთ პირდაპირი კონტაქტი ცხინვალთან და სოხუმთან, რაც ძალიან ცუდია. როგორც კი მუდმივ კონტაქტზე გადიხარ მათთან, ისინი გთავაზობენ თავის წესებს, რასაც არ ვითვალისწინებთ და მხოლოდ ჩვენსას ვთავაზობთ. მოკლე ფორმულირებით – ახლა აფხაზური და ოსური ინტერესები უნდა ავიღოთ და გავაქართულოთ ანუ ვაქციოთ საქართველოს ინტერესების ისეთ პოზიციად, რომელიც საქართველოს არ დააზიანებს, მაგრამ მოგებაზე ლაპარაკი ადრეა. დღეს მათი ინტერესები უნდა გავითვალისწინოთ, რათა ერთ-ორ წელიწადში, როცა რუსეთი ახალ პოზიციაში იქნება, მოვიპოვოთ მორალური უპირატესობა და შევახსენოთ, რომ ჩვენ არ ვიყენებთ არსებულ სიტუაციას მათ საწინააღმდეგოდ.

– ამას წინათ, ვკითხულობდი აფხაზი ექსპერტის, ასტამურ ტანიას მოსაზრებებს, რომელიც ამბობს, რომ აფხაზეთს ელოდება მძიმე დღეები ეკონომიკურად, მაგრამ მეორე მხრივ, ეს სიტუაცია შესაძლებლობების ფანჯარას ხსნის აფხაზებისთვის... სწორედ ამ კონტექსტში ხომ არ უნდა ჩაჯდეს საქართველო, რომ ჩვენ შევთავაზოთ მათ პერსპექტიული წინადადებები?

– გავიდნენ ასეთ ადამიანებთან კონტაქტზე და უთხრან, აშკარაა, ეძებთ გამოსავალს და გამოსავალი ან რუსეთთან გექნებათ ან საქართველოსთან, რუსეთს კი ხედავთ, რაც მოსდის და მოდით, დავილაპარაკოთ რაღაც გზებზეო. მშვენიერი მაგალითი მოიტანეთ თქვენ, ასეთ ადამიანებზე უნდა გავიდნენ, რათა შესთავაზონ ახალ შანსებსა და გამოწვევებზე დიალოგი.

– როგორ ფიქრობთ, ამას რუსეთი დაუშვებს? თუ არ სცალია ახლა უკრაინის ომის გამო და დრო უნდა ვიხელთოთ?

– ამისთვის სცალია, მაგრამ რესურსები არ გააჩნია. რა თქმა უნდა, არ იტყვის, ყოჩაღ, ქართველებო და აფხაზებო, რა კარგად პოულობთ საერთო ენასო! მაქსიმალურად ეცდება, ხელი შეუშალოს, მაგრამ გვაქვს სახელმწიფო და მთელი მსოფლიო ჩვენ გვერდში დგას, მაგრამ ჩვენ არ ვართ მთელი მსოფლიოს გვერდით... ამიტომ კითხვა მაქვს საქართველოს ხელისუფლებასთან – ვცდილობ, გავიგო, რომ ასეთი ფრთხილები ხართ, მაგრამ ამის ფასი რა არის?– ასეთი ფრთხილი პოლიტიკა რა გარანტიას გაძლევთ, რომ დამელაპარაკო, როგორც მოქალაქეს და მითხრა, ჩვენმა ფრთხილმა პოლიტიკამ მოიტანა ის, რომ მივდივართ ნატო-შიო და თუ ეს მოხდა, ვიტყვი – ყოჩაღ!

– ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მოსაპოვლებლად პასუხს ჯერ კიდევ ველოდებით, ბატონო პაატა.

– ევროკავშირი შორსაა, ნატო კი ჩვენი მეზობელია, ნატო-ზეა რეფერენდუმი ჩატარებული. რუსეთს აღიზიანებს ნატო და არა – ევროკავშირი. მე ვლაპარაკობ იმაზე, რას გვაძლევს რუსეთთან ფრთხილი პოლიტიკა ნატო-სთან მიმართებაში. მაქვს პრეტენზია გავიგო, რა არის ფასი ფრთხილი პოლიტიკისა და ეს შედეგი უნდა იყოს თქვენი კითხვის პასუხი, რომ რუსეთმა არ შეგვიშალოს ხელი აფხაზებთან და ოსებთან ურთიერთობაში. ყბადაღებული „ომი არ იქნება“, ძალიან სულელური არგუმენტია.

– თუმცა, საზოგადოების განწყობაც გასათვალისწინებელია... ბევრია ისეთი, ვინც ასეთი სიფრთხილის მომხრეა, ოღონდ არ იყოს ომი საქართველოში...

– სამწუხაროა, რადგან საზოგადოებას სხვა არჩევანი არ აქვს, რადგან მკაფიოდ გამოკვეთილი პროპაგანდისტული მუშაობა მიდის ოპოზიციის, ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ. ერთი ხელით ომზე საუბრობენ და მეორეთი – პროვოკატორებზე. თუ საზოგადოებას იმდენი განათლება და გაგება არ აქვს, რათა გაარჩიოს ტყუილი, მაშინ ვიცხოვრებთ ჩვენს „ქვევრში“.

ერთი რამ უნდა ვიცოდეთ – დედამიწაზე დემოკრატიაში მოსახლეობის მხოლოდ 20% ცხოვრობს, 80% კი – არადემოკრატიაში. ნუ გვგგონია, რომ სადღაც მივდივართ, ჩვენ ჩამოვედით უკვე და ვართ არადემოკრატიაში. ძალიასნ კარგად ვბუჟბუჟებთ საკუთარ ტყლაპოში, როგორც მამარდაშვილი იტყოდა. თუ არ შეგვწევს უნარი, გავარჩიოთ დემაგოგია სიმართლისგან და დავინახოთ, რომ არავითარი ომი არ იქნება და ეს სჭირდება „ქართულ ოცნებას“, რათა ძალაუფლება შეინარჩინოს, მაშინ ვიქნებით ისე, როგორც დედამიწის 80%-ია.

ოკუპირებული აფხაზეთი შიმშილობის პირასაა

სალომე ნოზაძე

ჯემალ გამახარია: „აფხაზეთში დღეს უფრო რთული ვითარებაა, ვიდრე სანქცირებულ რუსეთში!“

აფხაზეთში ვითარება სულ უფრო უარესდება და უარესდება. ვრცელდება ინფორმაცია, რომ რუსეთი ეტაპობრივად შეუმცირებს აფხაზეთს ფინანსურ დახმარებას, რაც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებაზე მძიმედ აისახება.
გახდება თუ არა ეკონომიკური სიდუხჭირე იმის წინაპირობა, რომ აფხაზეთის მოსახლეობამ საქართველოში ინტეგრაციაზე ფიქრი დაიწყოს?
– „ვერსია“ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავჯდომარე ჯემალ გამახარიას ესაუბრა:

– ბატონო ჯემალ, გეოპოლიტიკური რეალობიდან და არსებული კრიზისიდან გამომდინარე, ჩნდება შესაძლებლობა, რომ ოფიციალურ თბილისსა და ოკუპირებულ აფხაზეთს შორის, მშვიდობიანი მოლაპარაკებების პროცესი დაიძრას?

– ეს პროცესი უნდა დაიძრას. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ რუსული აგრესია და ომი, რომელიც უკრაინაში მიმდინარეობს, კიდევ დიდხანს გაგრძელდება, რუსეთი გამოიფიტება და აფხაზეთისთვის აღარ ეცლება. ამ შემთხვევაში, ჩნდება აფხაზების გადარჩენის ერთადერთი გზა, დაიწყონ მოლაპარაკებები საქართველოსთან, პირველ ეტაპზე, ეკონომიკური ურთიერთობის აღდგენაზე. ამასთან დაკავშირებით, ოფიციალურადაც არაერთხელ განგვიცხადებია. საქართველოს მთავრობამ ყოველგვარი წინაპირობების გარეშე უნდა აღმოუჩინოს დახმარება აფხაზურ მხარეს, რომელიც ხვალ და ზეგ, ძალიან მძიმე მდგომარეობაში იქნება. იქ სავსებით შესაძლებელია, შიმშილობა დაიწყოს. ადამიანები უხელფასოდ, პენსიების გარეშე დარჩებიან და როგორ უნდა იცხოვრონ?! ვიცი, რომ ქართულ მხარეს აქვს მზაობა, დაეხმაროს აფხაზებს, როგორც ჩვენს მოქალაქეებს, ამ მძიმე სოციალური კრიზისიდან გამოსვლაში.

– ანუ, სოციალური სიდუხჭირე გახდება წინაპირობა, აფხაზეთის მოსახლეობამ დაიწყოს ფიქრი საქართველოში ინტეგრაციაზე იმ პირობებში, რომ რუსეთი მთელმა ცივილიზებულმა სამყარომ უარყო და საქართველოს აქვს რეალური შანსი, გახდეს ევროკავშირის დიდი ოჯახის წევრი. აცნობირებს თუ არა აფხაზი მოსახლეობა ყველაფერ ამას?

– ძალიან მნიშვნელოვანი კითხვაა. მოვლენებს არ უნდა გავუსწროთ და იმ დახმარების პირობად არ უნდა წამოვაყენოთ – თუ გინდა, შიმშილით არ მოკვდე, გააუქმე ე.წ. დამოუკიდებლობა და გაერთიანდი საქართველოსთანო. ეს დღეს და ხვალ არ იქნება, მაგრამ პროცესი აქეთკენ მიდის. ხელოვნურად ამ პროცესების დაჩქარება უკუჩვენებას გამოიწვევს. აბსოლუტურად ვარ დარწმუნებული, მხოლოდ ეკონომიკური სიდუხჭირე კი არა, არამედ, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხებიც ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობას – აფხაზებს, ოსებს უბიძგებს, რომ გადარჩენის გზა სხვაგან ეძებოს, არა რუსეთში, არამედ, სხვაგან და ერთადერთი გზა რჩება – დაბრუნდნენ ისევ ქართული სახელმწიფოებრიობის წიაღში.

– ბატონო ჯემალ, აფხაზეთში ალაპარაკდნენ, რომ ერთგვარად, ეს მდგომარეობა აფხაზეთისთვის შესაძლებლობების ფანჯარას ხსნის, რაც გულისხმობს ბიზნესისა და ტურიზმის განვითარებას, ეს რეალურია?

– გარკვეულ იმედებს ნამდვილად ამყარებენ ტურისტულ სექტორზე. ყირიმი, ფაქტობრივად, დახურულია, იქ ნორმალური ადამიანი არ წავა. რუსებს მოჭრილი აქვთ გზა, როგორც ევროპისკენ, ასევე სხვა კურორტებისკენ და აქედან გამომდინარე, აფხაზები ტურისტების მოზღვავებას ელოდებიან, რაც ხელს შეუწყობს სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. შეიძლება, მეტი ტურისტი შევიდეს, ვიდრე შარშან, მაგრამ ეს პრობლემას ნამდვილად ვერ მოხსნის. თანაც უნდა გავითვალისწინოთ, რომ აფხაზეთში შემოდიან ტურისტები ძალიან დაბალი სოციალური ფენიდან და შესაბამისად, ცოტა ფულს ხარჯავენ. ამიტომ, ამ მხრივ, დიდი შემოსავლები არ იქნება, თან თუ გავითვალისწინებთ იქ არსებულ კორუფციას, იმ შემოსავლების უდიდესი ნაწილი კერძო პირების ჯიბეებში წავა, ბიუჯეტში კი – ძალიან ცოტა. ასე რომ, ტურიზმი ვერ იხსნის იმ პრობლემისგან, რაც უკვე არსებობს აფხაზეთში.

– ჩემი ინფორმაციით, აფხაზეთში უკვე გაზრდილია ფასები...

– დიახ, ეს რეალობად იქცა, აფხაზეთში დღეს უფრო რთული ვითარებაა, ვიდრე სანქცირებულ რუსეთში. რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციები, ჩათვალეთ, ოკუპირებული აფხაზეთის მიმართაც მოქმედებს. ყველაფერის ნაკლებობაა, განსაკუთრებით, საკვები პროდუქტების. ფასები გაორმაგებულია საწვავზე, ტრანსპორტზე – ყველგან პრობლემაა შექმნილი. ყველაფერი ეს, აფხაზ მოსახლეობაში დიდ უკმაყოფილებას იწვევს. აფხაზეთი ეკონომიკურად თავიდან ბოლომდე რუსეთზეა მიბმული, ამიტომ ის პროცესები, რაც რუსეთში მიმდინარეობს, მაშინვე აისახება აფხაზეთზე და უფრო მწვავედ და მტკივნეულად, ვიდრე რუსეთზე. შესაძლოა, დაწესებულმა სანქციებმა ხვალ და ზეგ გამოიღოს შედეგი რუსეთში, მაგრამ აფხაზეთში უკვე აქვს შედეგი და ვხედავთ, რომ მომავალში, კიდევ უფრო მეტად გაუარესდება. საქმე ისაა, რომ დე ფაქტო ხელისუფლებას, როგორც სოხუმში, ასევე ცხინვალში, რუსეთის ოფიციალურმა წარმომადგენელმა პირდაპირ გამოუცხადა, რუსეთი ვერ შეძლებს მათ დაფინანსებას იმ მასშტაბებით, როგორც ეს აქამდე ხდებოდა. ეს მასშტაბები როგორი იყო?! აფხაზების ბიუჯეტის 55-60 %-ს ავსებდა რუსეთი, ცხინვალში კი – 85%-ს . ახლა უთხრეს პირდაპირ, რომ თქვენ ბიუჯეტს შევავსებთ 15%-ით, მეტი საშუალება არ გვაქვსო. წარმოგიდგენიათ, რა ოდენობის თანხაზეა საუბარი? – ასეთი მდგომარეობაა ახლა, აფხაზეთში.

– აქედან გამომდინარე, რა განწყობაა შექმნილი აფხაზეთში, განსაკუთრებით საინტერესოა, რას ფიქრობენ ახალგაზრდები?

– აფხაზური მხარე და აფხაზეთში მყოფი ახალგაზრდები ე.წ. დამოუკიდებლობის იდეას იზიარებენ. თუმცა ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ დღეს იქნება თუ ხვალ, აფხაზი აუცილებლად მივა იმ შედეგამდე, რომ აუცილებელია ფასეულობების გადაფასება. შეიძლება ამ ე.წ. დამოუკიდებლობისთვის მოითმინო ერთი, ორი წელი, ეკონომიკური სიდუხჭირე გადაიტანო, მაგრამ არსებობს რაღაც გარკვეული ზღვარი და ამ ზღვრამდე ისინი ჯერ არ მისულან. დარწმუნებული ვარ, ამ ზღვრამდე აუცილებლად მივლენ და ის მოვლენები, რაც უკრაინაში ვითარდება, ამ პროცესებს დააჩქარებს. როდესაც ადამიანები დაინახავენ, რომ ამ „დამოუკიდებლობიდან“ არც უსაფრთხოების გარანტია აქვთ, არც ეკონომიკური კეთილდღეობა, მაშინ, რა ფასი აქვს ასეთ „დამოუკიდებლობას“?! იქ არიან ადამიანები, რომლებიც ასე ფიქრობენ, მაგრამ ისინი უმცირესობაში არიან, სულ არ გამოვრიცხავ, ხვალ და ზეგ უმრავლესობაშიც მოვიდნენ. ამის ძალიან დიდი იმედი მაქვს, თუმცა უფრო მეტად ახალგაზრდების მჯერა, ვიდრე უფროსი თაობის, რომლებიც, თითქოსდა, „დამოუკიდებლობისათვის“ იბრძოდნენ, სისხლი დაღვარეს და მოითხოვენ პრივილეგიებს. აქვთ კიდეც გარკვეული პრივილეგიები და იმ ადამიანებისგან არ მოველი, რომ უარს იტყვიან ე.წ. დამოუკიდებლობაზე იმიტომ, რომ ახალგაზრდები უფრო საღი თვალით უყურებენ და მათი მიდგომა სრულიად განსხვავებულია. დღეს და ხვალ არა, მაგრამ თუ სწორად წავიყვანეთ ჩვენი სახელმწიფო პოლიტიკა, მოველი ფასეულობების გადაფასებას და ერთ მშვენიერ დღეს, დაინახავთ, რომ ქართველები და აფხაზები მიუსხდებიან მოლაპარაკებების მაგიდას ზუსტად იმ თემაზე, რაზეც ახლა ჩვენ ვისაუბრეთ.

აკია ბარბაქაძე: „ომი რომ დაიწყოს, არ გვეცოდინება, რომელ ბუნკერში წავიდეთ და როგორ ვიმოქმედოთ!“

აქვს თუ არა საქართველოს საკმარისი ბუნკერები თავდაცვისთვის

ია გრიგალაშვილი

24 თებერვალს, უკრაინაზე რუსეთის თავდასხმით ყველა დარწმუნდა, რამხელა მნიშვნელობა აქვს ქვეყნის თავდაცვის სისტემის სწორად ფუნქციონირებას. ამასთან, მოქალაქეებისთვის საჭირო თავდაცვითი ინფორმაციის მიწოდებასა და შესაბამისი ტექნიკური რესურსის ფლობას, განსაკუთრებით, ისეთი ქვეყნისთვის, რომელიც რუსეთის მეზობელია და წლებია, მისი აგრესიის მოგერიებას ცდილობს. ოკუპანტს საქართველოს ტერიტორიის 20% აქვს მითვისებული და მუდმივად ცდილობს მავთულხლართების გადმოწევას, შესაბამისად, არავინ იცის, როდის წამოიწყებს განრისხებული პუტინი შეტევას. ამ ფონზე, მნიშვნელოვანია, მოქალაქეები ფლობდნენ სამოქალაქო თავდაცვით ინსტრუქციას და იმ დეტალებს, თუ როგორ უნდა იმოქმედონ ფორსმაჟორულ სიტუაციაში.
საფრთხის შემთხვევაში, არის თუ არა საქართველოს თავდაცვის სისტემა მზად, დაიცვას საკუთარი მოქალაქეები, რა ტექნიკურ რესურსს ფლობს ქვეყანა და რატომ არ მიეწოდება მოსახლეობას ეს ინფორმაცია? – „ვერსია“ თავდაცვის ექსპერტს, აკია ბარბაქაძეს ესაუბრა.

– ბატონო აკია, საქართველო მუდმივად რუსეთის თავდასხმის საფრთხის წინაშეა. არის ჩვენი ქვეყანა მზად თავდაცვისთვის იმ შემთხვევაში, თუ უკრაინის შემდეგ, რუსეთი საქართველოსკენაც მომართავს ძალებს?

– ამაზე პასუხი უნდა გაგვცეს თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავჯდომარემ, მინისტრმა, გენშტაბის უფროსმა და მმართველი ძალის სხვა წარმომადგენლებმა. ისინი არიან პასუხისმგებლები ყველაფერ ამაზე. მე და თქვენ ინფორმაცია არ გვაქვს, თუ გვექნება კრიტერიუმები, სამხედროებსა და ექსპერტებს მხოლოდ ამის შემდეგ შეგვეძლება შევაფასოთ, რას პასუხობენ ეს კრიტერიუმები. გენშტაბის ყოფილი უფროსი, დღევანდელი პარლამენტის წევრი რომ გამოდის და ამბობს, ვაჟკაცი ბიჭები გვყავს ჯარში და ისინი იომებენო, ეს არ არის კრიტერიუმი. ჩვენ გვაქვს კონკრეტული კითხვები. ეს არაა საიდუმლო ინფორმაცია, ღიაა, „გუგლსა“ და „ვიკიპედიაშიც“ კი ნახავთ ქვეყნების მონაცემებს, რა ოდენობის შეიარაღებული ძალები ჰყავთ ან როგორია, ზოგადად, შეიარაღება და ა.შ. ჩართულები ვართ იარაღის კონტროლის ხელშეკრულებაში, ყველამ იცის სად, რა და რამდენი გვაქვს. მხოლოდ ჩვენი მოსახლეობა არაა ინფორმირებული, ღმერთმა დაგვიფაროს და თუ ომი დაიწყო, თუ რუსეთი თავს ისევ დაგვესხა, ტოტალური კონცეფციის თავდაცვიდან გამომდინარე, რომელიც მიღებული აქვს მთავრობას, მოსახლეობამ უნდა ვიომოთ ჯართან ერთად. ოღონდ, არ ვიცით, ვინ სად გავრბივართ და რას ვაკეთებთ!

– როგორ უნდა მიეწოდოს მოსახლეობას მსგავსი ინფორმაცია?

– ყველა გზით, როგორც სხვა ინფორმაცია მიეწოდება სხვადასხვა სტრუქტურებიდან. სამოქალაქო თავდაცვის საკითხები უნდა იცოდეს ნებისმიერმა მოქალაქემ, თავდასხმის შემთხვევაში, მასთან ახლომდებარე რომელ ბუნკერს შეაფაროს თავი და როგორ იმოქმედოს. თუ ის რეზერვშია აღრიცხული, მაშინ, რომელ ნაწილთანაა, რა ამოცანა აქვს და ა.შ. ყველაფერი ეს არ უნდა იყოს დამალული. ომის დროს ქაოსი და პანიკა რომ დაიწყება, ყველაფრის გარკვევის თავი აღარავის ექნება, ამიტომ მანამდე უნდა იყოს ინფორმირებული მოსახლეობა. ომისთვის მზადება არ ნიშნავს ომის მოწოდებას, პირიქით – რომ არ იყოს ომი, ამიტომ უნდა მოვემზადოთ.

– გვაქვს თუ არა საკმარისი ბუნკერები თავდაცვისთვის?

– როცა უკრაინაში საფრთხე დაინახეს, აღმოაჩნეს, რომ კორპუსების ბუნკერების 2/3 იყო გაყიდული. ჩვენ ისიც არ ვიცით, რა მდგომარეობაა. ვისთვისაც შექმნილია ეს სისტემა, ისინი ინფორმირებულნი არ არიან. თუ ხელისუფლებას ეს საიდუმლო დოკუმენტში აქვს მოქცეული, კარგად გაუფრთხილდნენ, ნახავენ, როგორ გამოადგებათ და თუ მართლა საიდუმლოა, მაშინ წარმოადგინონ, რა დოკუმენტაციაა საიდუმლო ინფორმაციის ქვეშ, ჩამოთვალონ და წარმოადგინონ კანონი, რის საფუძველზე აქვთ გასაიდუმლოებული ყველაფერი ეს. ომი რომ დაიწყოს, ჩვენ ამ საიდუმლოების გამო, არ გვეცოდინება, რომელ ბუნკერში წავიდეთ და როგორ ვიმოქმედოთ.

– შესაძლოა, ხელისუფლება იმიტომ ასაიდუმლოებს, რომ ეს ინფორმაცია მოწინააღმდეგის ხელში არ აღმოჩნდეს?

– შეიარაღების კონტროლიდან გამომდინარე, მტერმა ისედაც იცის, რა რამდენი გვაქვს, ვერიფიკაციის კონტროლი ტარდება ყოველწლიურად, სადაც ბევრი ქვეყანაა ჩართული. რუსეთი გავიდა ამ კონტროლიდან, მაგრამ იქ იმდენი ქვეყანაა, რომ მოინდომოს, უცებ გაიგებს, ამიტომ ვის უმალავენ? მე მიმალავენ, რამდენი ტანკი გვყავს?! თავდაცვის შესახებ კანონში წერია, რომ ცა უნდა იყოს ჩაკეტილი. თავის დროზე, ამათ პრიორიტეტად უპილოტო საფრენი თვითმფრინავები ჩაწერეს და ა.შ. ესეც ხომ უნდა შესრულდეს, რომ წერია, დრონები უნდა გვყავდეს და ცა დაკეტილი იყოსო, არის თუ არა ასე? ჩვენ ხომ არ ვეუბნებით, თავდაცვის ოპერატიული გეგმები გაგვაცნონ? ვეკითხებით ელემენტარულს – აქვთ თუ არა, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები ნაყიდი? თუ აქვთ, რამდენი და რა ტიპის? 21-ე საუკუნეში, პირდაპირ ეთერში ვუყურებთ ომს, ესენი კი საზოგადოების უმწიფრობითა და უცოდინრობით სარგებლობენ და ყველაფერზე გაიძახიან,მსგავსი ინფორმაცია საიდუმლოაო.

– ბატონო აკია, რა ამის პასუხია და, მოლაპარაკებებს შედეგი ექნება ანუ თქვენი აზრით, რუსეთი უკან დაიხევს?

– არ მგონია, კონკრეტულ შედეგამდე მივიდნენ, რადგან ეს რუსეთისთვის კაპიტულაციაა. ვფიქრობ, რუსეთი გამოიყენებს დროს გადაჯგუფებისთვის, რომ სამხრეთის მიმართულებით გადაიყვანოს ჯარი. ის არ მოაწერს ამ დოკუმენტს ხელს, რადგან დოკუმენტის თანახმად, გამოდის, ომი უკრაინამ მოიგო. დოკუმენტში წერია, რომ ნატო-ში შეუსვლელად იღებს ნატო-ს მეხუთე პუნქტს დახმარების შესახებ, რომელშიც თუ ამ რეგიონში ვინმე სერიოზული ძალების პატრონია, ყველა გარანტორად უდგება უკრაინას. ასევე, ის მიიღებს დიდ დაფინანსებას, ეყოლება საკუთარი ძალები და სამხედრო შეიარაღება. დოკუმენტის თანახმადვე, რუსეთს მოუწევს ყირიმიდანაც გაიყვანოს ჯარები. აქედან გამომდინარე, გამოდის, რუსეთი აღიარებს წაგებას, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ სანქციები მოეხსნება. არაერთხელ ყოფილა მსგავსი მოლაპარაკებები და რუსეთისთვის ეს ჩვეულებრივი თემაა, ჯერ დროს გაწელავს, მერე დაარღვევს პირობებს და ა.შ. ვნახეთ, რომ რამდენიმე დღის წინ, დივერსანტების ჯგუფი გაგზავნა ზელენსკის მოსაკლავად, თუ რამის შემსრულებელი და მომლაპარაკებელია, ამას იზამდა? რეალურად, ეს არის გადაჯგუფება და მეტი არაფერი, ვფიქრობ, რუსეთი არ აპირებს დანებებას. ის წლების მანძილზე აწარმოებს საომარ მოქმედებებს თავისი მეზობელი ქვეყნების წინააღმდეგ, მათ შორის, საქართველოში. ამ ფონზე, ჩვენთვის ერთადერთი ხსნა რომელიმე სამხედრო ბლოკი და ურთიერთკავშირია დასავლურ ცივილიზაციასთან. თუ მარტო დავრჩით, არაფერი გვეშველება, უკრაინას ჰქონდა მაინც რესურსი, ჩვენ კი არაფერი გვაქვს.

„ანიგოზის“ წარმატების საიდუმლო

ქართული კაკლის გადამამუშავებელი საწარმო საერთაშორისო სერტიფიკატის მფლობელია

მაკა რუხაძე

შპს „ანიგოზი“ კაკალს საქართველოს ყველა რეგიონიდან ჩაიბარებს. ფერმერებმა, როგორც მინიმუმ, 100 კილოგრამი თხელნაჭუჭიანი „ჩანდელის“ ჯიშის კაკალი უნდა ჩააბარონ. კომპანია „ანიგოზი“ კაკლის გადამამუშავებელი სრულად ქართული საწარმოა, რომელიც 2021 წელს, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფში გაიხსნა. კომპანიას ახალგაზრდა, ნიჭიერი და ენერგიული მეწარმე, ანა ქევხიშვილი ხელმძღვანელობს. ანა ამბობს, რომ სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში, შეღავათიანი აგროკრედიტით ისარგებლა – მთლიანობაში, საუბარია 2 500 000 ლარის ინვესტიციაზე. „ანიგოზის“ საწარმო ხაზი ფრანგულია, რომლის მაქსიმალური წარმადობა 500 ტონა კაკლის გადამუშავებაა. საკუთარი ბაღების გარდა, „ანიგოზი“ მცირე ფერმერებისგან შეძენილ პროდუქტსაც იბარებს. მნიშვნელოვანია, რომ მზა მასალა – ლებანი, ბაზარზე ვაკუუმ-შეფუთვით, „გუდვილისა“ და „აგროჰაბის“ ქსელში იყიდება. „ანიგოზი“ კაკლის ერთ-ერთი ყველაზე დიდი გადამამუშავებელი საწარმოა, რომელიც ფერმერებს საშუალებას აძლევს, საკუთარი ნედლეული ევროპული სტანდარტებით გადამუშაონ. თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური საწარმო სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სერტიფიკატს – FSSC 22 000-ს ფლობს. „ვერსიას“ შპს „ანიგოზის“ დამფუძნებელი, ანა ქევხიშვილი ესაუბრა.

– ანა, როგორ გაჩნდა შპს „ანიგოზის“ შექმნის იდეა?

– დაახლოებით, შვიდი წლის წინ შევეზიარეთ ამ სფეროს. ეს ის პერიოდია, როდესაც ბევრი ფერმერი დაინტერესდა კაკლის ბაღების გაშენებით. კაკალი აქტუალური პროდუქტია და ბევრი მიზეზიდან გამომდინარე, აქცენტი სწორედ ამ პროდუქტზე გავაკეთეთ. პირველ რიგში იმიტომ, რომ ჩვენს ქვეყანაში კაკალი ძალიან მოთხოვნადია, მაგრამ ძირითადი მიზეზი ისაა, რომ საკმაოდ დიდი რაოდენობით ხორციელდება ნედლეულის იმპორტი და გვინდოდა, ადგილობრივი წარმოებაც განგვევითარებინა. გარდა ამისა, კაკალი ყოველთვის დეფიციტურ პროდუქტად ითვლება, განსაკუთრებით, სეზონზე – საახალწლო პერიოდში.

კახეთში გვქონდა ვენახები, მაგრამ გვინდოდა ახალი კულტურა გაგვეშენებინა. ბევრი დაბრკოლება გავიარეთ, ბაზარი კარგად შევისწავლეთ და თავისუფალი ნიშა დავინახეთ – აღმოვაჩინეთ, რომ კაკლის ბევრი ბაღია, რომელიც სწორად ვითარდება, თუმცა ქვეყანაში არ არსებობდა გადამამუშავებელი ჯაჭვი, რგოლი, რომელიც ფერმერებისგან მათ მიერვე მოყვანილ პროდუქციას შეიძენდა და უახლესი ტექნოლოგიური საშუალებებით გადაამუშავებდა. ამ მიმართულებით ცოდნა გავიღრმავეთ და მივხვდით, რომ თუ გვინდა, კაკალი საექსპორტოდ იყოს მისაღები, მით უფრო, ევროკავშირის ბაზრისთვის, აუცილებლად უნდა დაგვეკმაყოფილებინა ტექნოლოგიური სტანდარტი – საერთაშორისო მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც ნედლეული უნდა გადამუშავდეს პირველ 48 საათში.

უფრო ზუსტად, მოსავლის აღებიდან 48 საათის შემდეგ, ფერმერი ჩვენთან უნდა მოვიდეს, რათა ნედლეულის ხარისხი შევამოწმოთ. შედეგის მიხედვით განვსაზღვრავთ, ჩავიბარებთ პროდუქციას თუ არა, ან გადავამუშავებთ და უკან გავატანთ. ჩვენი საწარმოს მთავარი გადამამუშავებელი ხაზი ითვალისწინებს კაკლის რეცხვას, შრობასა და კალიბრაციას. ამის შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, იწყება სწორად გამომშრალი კაკლის ტეხვა.

ზოგადად, ხარისხის მხრივ, გასული 2021 წელი ძალიან რთული იყო, რადგან როგორც კი მოსავლის აღების დრო მოვიდა, უხვნალექიანი დღეები დადგა – გადაუღებელი წვიმების გამო ფერმერები ვეღარ შედიოდნენ ბაღებში. შედეგად, კაკლის თითქმის ყველა ბაღი დაგვიანებით დაიკრიფა, გარდა ამისა, სეტყვაც მოვიდა და არაერთი ბაღი დაზიანდა. წელს, ყველას გვაქვს მოლოდინი, როგორც მოსავლის მზარდი რაოდენობის, ასევე ხარისხის მხრივ. გვგგონია, რომ 2022 წელს, საექსპორტო ბაზარი კიდევ უფრო კარგად გაიცნობს ქართულ კაკალს. რეალურად, ჩვენი მიზანიც ესაა – როგორც ქართული თხილია ცნობილი, გვინდა, ამგვარი ცნობადობა კაკლის კულტურაზეც გავზარდით.

– საექსპორტო პოტენციალზე აუცილებლად გკითხავთ, თუმცა მანამდე, სულ ახლახანს მიღებულ ჯილდოზე ვისაუბროთ, რომელიც სურსათის უვნებლობის გამო მიიღეთ...

– დიახ, ეს ძალიან მნიშვნელოვანი სერტიფიკატია სურსათის უვნებლობის თვალსაზრისით. ესაა ძალიან მაღალი დონის, გლობალური სტანდარტი, რაც მთავარი წინაპირობაა, ევროკავშირის ბაზარზე, თუმცა სხვა ბაზრებიც ითხოვენ ამ სტანდარტს და ამ დონის სერტიფიცირებას საწარმოში. სხვათა შორის, ჩვენთან იყო ჩამოსული საერთაშორისო აუდიტი, რომელმაც კომპანიის სრული მონიტორინგი განახორციელა, საწარმომ სამდღიანი შემოწმება გაიარა და საბოლოოდ, მივიღეთ სერტიფიკატი – FSSC 22 000. დაახლოებით, ექვსი თვის განმავლობაში ვმუშაობდით სერტიფიცირებასა და გლობალური სტანდარტის დანერვაზე საწარმოში.

– წეღან თქვით, რომ ადგილობრივი ბაზარი იმპორტირებული კაკლითაა გაჯერებული, „საქსტატის“ მონაცემებზე დაყრდნობით, რაც „ვერსიაში“ უკვე გამოქვეყნდა, კაკლისა და ზოგადად, კაკლოვანი კულტურების ძირითადი იმპორტიორი უკრაინაა. მცირე რაოდენობით შემოდის რუსეთიდან და ჩინეთიდანაც. მას შემდეგ, რაც რუსეთი უკრაინაში შეიჭრა, წელს, ამ ქვეყნებიდან პროდუქტების იმპორტს ნაკლებად უნდა ველოდოთ. ამ რეალობის გათვალისწინებით, წარმოების გაზრდას და ადგილობრივი ბაზრის სრულად ათვისებას ხომ არ გეგმავთ?

– დიახ, ვგეგმავთ. ზოგადად, უკრაინული ნიგოზი ქართული კაკლის მთავარი კონკურენტი იყო. იმის გათვალისწინებით, რომ უკრაინაში ომია, ცხადია, წელს, იმპორტის ნაწილში დეფიციტი შეიქმნება. თუმცა გამოსავალი არსებობს – კაკლის დეფიციტს ქართული ნედლეული აგვარიდებს. მეტიც, შარშანდელთან შედარებით, ფერმერები წელს გასამმაგებულ მოსავალს ელოდებიან. მაგალითად, თუ შარშან 110 ტონა ნედლეული გადავამუშავეთ, წელს ეს მაჩვენებელი გასამმაგდება. შარშან, ჩვენმა კომპანიამ ნედლეული კახეთის, შიდა ქართლისა და ქვემო ქართლის რეგიონების ფერმერებისგან მიიღო. 2021 წელს, ადგილობრივი ენდემური ჯიშების კაკლის გადამუშავება ვერ მოვახერხეთ, რადგან ნაჭუჭის სისქიდან გამომდინარე, ჩვენი დანადგარები უძლურია ასეთ პროდუქტთან მიმართებაში. სხვათა შორის, გადამუშავების სხვა ტექნოლოგიაც არსებობს, მაგალითად, ხელით მტვრევა, რასაც აუცილებლად დავნერგავთ, თუმცა ამას დრო და გამოცდილება სჭირდება.

– ანა, მართალია, წელს ადგილობრივი ბაზრის ათვისებას აპირებთ, მაგრამ მაინც გკითხავთ, ექსპორტსაც ხომ არ გეგმავთ და თუ გაქვთ უკვე მონიშნული ქვეყნები, სადაც ქართულ კაკალს შეიტანთ?

– რა თქმა უნდა, საექსპორტი ბაზარი ჩვენი სამიზნეა. იქიდან გამომდინარე, რომ შარშანდელთან შედარებით, წელს გასამმაგებული ოდენობის პროდუქციას ჩავიბარებთ, ვფიქრობ, ექსპორტისთვისაც მზად ვიქნებით. თუმცა, მცირე საექსპორტო მოცულობებს გავუშვებთ, რადგან არ გვინდა, ადგილობრივ ბაზარზე დეფიციტი შევქმნათ. ახლა იმ ეტაპზე ვართ, რომ ვაგზავნით ნიმუშებს სხვადასხვა ქვეყნებში, ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს, როგორც ეროკავშირის, ასევე „გალფის“ ქვეყნებთან (ბაჰრეინი, კატარი, ქუვეითი, არაბთა გაერთიანებული საემიროები, ომანი, საუდის არაბეთი). გარდა ამისა, ვიყავით საერთაშორისო გამოფენაზე კატარში, რაც „ანიგოზისთვის“ პირველი გამოფენა გახლდათ და ძალიან დიდი დაინტერესებაც გამოხატეს ჩვენს მიმართ. ახლა რამადანის პერიოდია და ერთი თვის მანძილზე, კონტაქტი შეზღუდულია, თუმცა მაისში, კატარის რამდენიმე ქსელის წარმომადგენელი აპირებს ჩამოსვლას, წარმოების დათვალიერება სურთ, რათა ხარისხსა და დანერგილ სტანდარტებში დარწმუნდნენ.

ქართული კაკლის ექსპორტის თვალსაზრისით, „გალფის ქვეყნები“ არაჩვეულებრივი შესაძლებლობა იქნება. რა თქმა უნდა, ევროკავშირის ბაზარზეც საკმაოდ მაღალი მოთხოვნაა, მაგრამ ქართული პროდუქციის ცნობადობის პრობლემაა. უფრო ზუსტად, მათ იციან, რომ კაკალს რამდენიმე დიდი ქვეყანა – კალიფორნია, ჩილე, უკრაინა აწარმოებს და არ იციან საქართველოზე, როგორც კაკლის მწარმოებელ ქვეყანაზე. ამიტომ ვფიქრობ, კარგი იქნება, თუ ბევრი საერთაშორისო ორგანიზაცია დაგვიჭერს მხარს და ბევრ გამოფენაზე წარვადგენთ ჩვენს პროდუქციას, რათა გაიცნონ ქართული კაკალი და ნიგოზი. ზუსტად ასე მოიპოვა ქართულმა თხილმაც პოპულარობა და წარმატებული ბიზნესურთიერთობები განავითარა.

სამართალი

№13 6 აპრილი 2022 წ

„ლაგუნა ვერეს“ სისხლიანი „რაზბორკების“ უცნობი და ექსკლუზიური დეტალები

ბათო ჯაფარიძე

სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ ე.წ. კანონიერი ქურდების გავლენა საქართველოში კვლავ არსებობს. სამწუხაროდ კი იმიტომ, რომ 21-ე საუკუნეში, ახალგაზრდა რომ იმისთვის იბრძვის, კრიმინალური სამყაროს უმაღლეს საფეხურზე ავიდეს და თან ზუსტად იცის, ე.წ. კანონიერ ქურდობას აღარ აქვს ისეთი ხიბლი, როგორიც ადრე ჰქონდა, არც ამ კასტის წარმომადგენლები არიან ისეთი დაფასებულები, როგორც ადრე და არ იგივდებიან სიმართლის მთქმელ და საქმის სწორად განმგებ ადამიანებთან, მაგრამ მაინც აქეთკენ ისწრაფვის... ყველასთვის ცხადია, რომ „კანონიერი ქურდები“ უფრო და უფრო ემსგავსებიან იმ მაფიოზებს, რომლებიც აშშ-ში, მეოცე საუკუნის გარიჟრაჟზე გამოჩდნენ და ადრე დაწერილ „ქურდულ კარაბადინსაც“ უკვე აღარავინ იცავს. ამხელა შესავალი კი იმიტომ დაგვჭირდა, რომ გასულ კვირას, მორიგ „ქურდულ გარჩევას“ ორი ადამიანი ემსხვერპლა, ხუთი კი დაიჭრა. საინტერესოა, რომ გარჩევაში მონაწილეობდა ეკონომიკის ყოფილი მინისტრის, გიორგი ქობულიას ძმა, კონსტანტინე. როგორც გვეუბნებიან, გარდაცვლილთაგან ერთ-ერთი, სწორედ კონსტანტინე ქობულიაა.

„კანონიერ ქურდ“ ბადრი კოღუაშვილის ზღაპრული დაბადების დღე მოსკოვის რესტორანში და 300-ათასიანი საჩუქარი

დაპირისპირებული მხარეები ორი „კანონიერი ქურდის“ – ირაკლი ყალიჩავას (მეტსახელად, „ხუტუ“, „ხუტუევიჩი“) და ლევან მარღიას (მეტსახელად, „ლევა ზუგდიდსკის“) ინტერესებს იცავდნენ. როგორც გვითხრეს, ყველაფერი იმით დაიწყო, რომ მარღიამ ბიზნესმენ დავით შენგელიას საქმიანობიდან წილი მოსთხოვა, მან კი ყალიჩავასთან იჩივლა. ყალიჩავა და მარღია ტელეფონებით ვერ შეთანხმდნენ და ამიტომ შეხვედრა „ლაგუნა ვერეს“ მიმდებარე ტერიტორიაზე დათქვეს.

საინტერესოა, რომ გარჩევაში, „სკაიპით“, მარღია და ყალიჩავაც მონაწილეობდნენ და როგორც გაირკვა, სწორედ მათი სატელეფონო დაპირისპირების შემდეგ ატყდა სროლა, რასაც ორი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. ახლა ვარაუდობენ, რომ ეს ამბავი აუცილებლად გაგრძელდება და ყალიჩავა შურს იძიებს.

ცნობისთვის, ირაკლი ყალიჩავა, ასევე, „კანონიერი ქურდის“ მიხეილ ყალიჩავას შვილია. უფროსი ყალიჩავა 1985 წელს, სოხუმში „კანონიერმა ქურდმა“ იური ლაკობამ მოკლა, რომელმაც შემდეგ საკთარი ქმედება ვერ დაასაბუთა და ქურდის სტატუსის გარეშე დარჩა, თუმცა შურისძიება ვერ მოხერხდა – ლაკობა ძალიან კარგად იმალებოდა და 1995 წელს, მოსკოვში, ვიშნევსკის ინსტიტუტის კლინიკაში სეფსისით გარდაიცვალა.

აუცილებელია იმის თქმაც, რომ ბოლო ორი წელია, „ქურდული გავლენა“ საქართველოში სისტემატურად იზრდება. იმის მიუხედავად, რომ პერიოდულად, სამართალდამცავები სპეცოპერაციის შედეგად, „კრიმინალურ სამყაროსთან“ დაკავშირებულ პირებს აკავებენ და თითო ჯერზე, ლამის ორ ათეულს აგროვებენ, ეს საკმარისი არაა.

ამბობენ იმასაც, რომ განსაკუთრებით სამეგრელოს რეგიონში, „ქურდული ობშჩიაკი“ იკრიბება და ძირითადად, თურქეთში მყოფ „კანონიერ ქურდებთან“ იგზავნება. ამ მიმართულებით, სიტუაცია საგრძნობლად მოუშვეს უკრაინასა და რუსეთში.

მოგეხსენებათ, საქართველოს შემდეგ, სწორედ უკრაინასა და რუსეთში გახდა „კანონიერი ქურდის“ სტატუსი დასჯადი, მაგრამ დღეს, ამ ორ ქვეყანაში არსებულმა სიტუაციამ, „კანონიერ ქურდებს“ შესაძლებლობა მისცა, თავი კვლავ კარგად ეგრძნოთ და ისინი, რომლებიც ამ ქვეყნებიდან არცთუ დიდი ხნის წინ გაიქცნენ, ახლა ისევ უკრაინასა და რუსეთში დაბრუნდნენ, რადგან სამართალდამცავებს ახლა მათთვის ყველაზე ნაკლებად სცალიათ.

ამის ნათელი დადასტურება გასულ კვირას, მოსკოვში, რესტორან „თბილისში“ გამართული ღონისძიება იყო. როგორც რუსი ჟურნალისტები წერენ, რესტორანი ორი დღით იმის გამო დაიხურა, რომ ცნობილი „კანონიერი ქურდი“, ბადრი კოღუაშვილი დაბადების დღეს აღნიშნავდა.

როგორც ამბობენ, კალაშოვის დაჭერისა და რუსეთიდან ტარიელ ონიანის გაძევების შემდეგ, კოღუაშვილს პრეტენზია აქვს, რომ კრიმინალურ სამყაროში ნომერი პირველი სწორედ ის არის და ამას უმრავლესობა აღიარებს კიდეც.

ყველაზე ძვირადღირებული საჩუქარი კოღუაშვილს „ნოვოროსმეტალის“ მფლობელმა, ქართველმა მილიონერმა, შალვა ღიბრაძემ გაუკეთა. როგორც თვითმხილველები ჰყვებიან, ღიბრაძის მიერ წარგზავნილმა კაცმა მას საზეიმოდ გადასცა ძვირადღირებული საათი და ფული – კონვერტით, რამაც იუბილარი ძალიან გააბედნიერა.

მოგვიანებით თქვეს, რომ მთლიანობაში, ღიბრაძეს კოღუაშვილის საჩუქარი 300 ათასი დოლარი დაუჯდა და ისიც დაამატეს, ორდღიანი ქეიფის ფულიც სწორედ „ნოვოროსმეტალის“ შეფმა გადაიხადა.

ამ მიმართულებით, მშვიდი ვითარება არც თურქეთშია. 2020 წლის აგვისტოში მოკლული ყველაზე გავლენიანი „კანონიერი ქურდის“, ნადირ სალიფოვის (მეტსახელად, „გული“) ძმამ, ნამიკ სალიფოვმა ნადირობა გამოაცხადა ყველაზე, ვისაც კი მისი ძის მკვლელობასთან შეხება ჰქონდა. ასე, მაგალთად, გასულ კვირას, თურქულ მერსინში, „კანონიერი ქურდი“ რაფიკ ეივაზოვი ჩაცხრილეს. როგორც ამბობენ, მას „გულის“ მკვლელობის დაგეგმვაში მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ იცოდა, რომ ყველაზე გავლენიან „კანონიერი ქურდზე“ თავდასხმა მზადდებოდა და ამის შესახებ არავინ გააფრთხილა.

ბედის ირონიით, ეივაზოვი გადარჩა და იმის მიუხედავად, რომ ქილერმა ოთხი ტყვია მოარტყა (ერთი თავში), ჯერჯერობით, მართვით სუნთქვაზე იმყოფება და სრულად გამოჯანმრთელების შანსიც აქვს. მის გარდა, ნამიკ სალიფოვი კიდევ ერთი „კანონიერი ქურდის“ ალი გეიდაროვისა და ცნობილი ბიზნესმენის ზაურ ახმედოვის მოკვლასაც გეგმავს, რადგან მკვლელობის შემკვეთებად სწორედ ისინი სახელდებიან და ფულიც სწორედ ახმედოვმა გადაიხადაო.

შეგახსენებთ, 2020 წელს, „გული“ უერთგულესმა პირადმა მცველმა ჩაცხრილა, პირმა, რომელიც სალიფოვმა შემთხვევით, სავარჯიშო დარბაზში გაიცნო, მცველად აიყვანა, ორი წელი გვერდიდან არ მოიშორა და რამდენიმე ათეული მილიონიც კი აშოვნინა. სწორედ მასზე გავიდნენ შემკვეთები და არავინ იცის, რამდენი გადაუხადეს რეალურად ყველაზე გავლენიანი „კანონიერი ქურდის“ მკვლელობაში.

ბათო ჯაფარიძე

ცნობილი ადვოკატი საკუთარ მანქანასთან მუცელგამოფატრული იპოვეს

ვინ და რის გამო იძია შური უფლებადამცველზე

ადვოკატობა, ზოგიერთი სხვა პროფესიის დარად, უძველესია. მას შემდეგ, რაც გაჩნდა დამნაშავე, ამ დამნაშავეს გამოუჩნდა დამცველი და საბოლოოდ, ჩვენამდე იმ სახით მოვიდა, რა სახითაც ადვოკატები დღეს არიან წარმოდგენილნი. საქართველოსი რა გითხრათ, მაგრამ საზღვარგარეთ, კვალიფიციური და ცნობილი ადვოკატების მომსახურება შვიდნიშნა ციფრით იზომება და არცთუ იშვიათად ყოფილა, რომ მოგებული საქმის სანაცვლოდ, ადვოკატს ათი და მეტი მილიონიც აუღია. წარმატებული ადვოკატები საქართველოშიც არ არიან უსაქმოდ და მათი მომსახურება არც ქართული საზომებით ჯდება იაფი.

ჰოდა, ხომ წარმოგიდგენიათ, რა მოხდებოდა, როცა 80-იანი წლების დასაწყისში, ერთ-ერთი ცნობილი ადვოკატი საკუთარ მანქანასთან მუცელგამოფატრული იპოვეს. მას დანა ორჯერ ჰქონდა დარტყმული, უფრო ზუსტად, ჯერ მარცხენა მხრიდან, ზემოდან ქვემოთ ჩამოსმული, შემდეგ კი მარჯვენა მხრიდან პირიქით – ქვემოდან ზემოთ აჭრილი. ექსპერტმა თქვა, ორივე ჭრილობა სასიკვდილო იყო და მკვლელმა ძალიან კარგად იცოდა, რასაც აკეთებდაო.

„ზოგადად, ექსპერტი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურაა ჩვენს საქმეში და თუ ის შეცდა, შესაძლოა, გამოძიება მცდარ კვალზე წავიდეს. არცთუ იშვიათად იყო შემთხვევები, როცა ბრალდებულების ოჯახები სწორედ ექსპერტთან ცდილობდნენ საქმის მოგვარებას, რათა არასწორი დასკვნა დაეწერა და იყო შემთხვევები, როცა პასუხისგებაში სწორედ ექსპერტი მიუციათ. იმის მიუხედავად, რომ ჯანმრთელობის პრობლემების გამო, ჩვენი ექსპერტი, აგერ, მეოთხე თვე იყო, ისვენებდა, მის ნაცვლად დანიშნული ახალგაზრდა ბიჭი საქმეში სულსა და გულს დებდა, ყველაფრის ზედმიწევნით გაკეთებას ცდილობდა და არანაირი საფუძველი არ მქონდა, ნდობა არ გამომეცხადებინა“, – გვიყვება რეზონანსულ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

რა თქმა უნდა, ადვოკატის მკვლელობა მის პროფესიულ საქმიანობას დაუკავშირეს და წიპა პლანზე, მისი ბოლო საქმეები წამოსწიეს. რამდენიმე ისეთი საქმე ჰქონდა, დაზარალებულებს ადვოკატი მოეკლათ კი არა, ცოცხლად რომ დაეწვათ, გული არავის დასწყდებოდა. ადვოკატმა მოახერხა და პასუხისმგებლობა რამდენიმე ისეთ პირს ააცილა, რომლებსაც უეჭველად ციხე ერგებოდათ. იმასაც ამბობდნენ, ამის სანაცვლოდ, ადვოკატმა დიდი ფული აიღო და მხოლოდ თავად კი არა, პროკურორი და მოსამართლეც გასვარა, მათაც გადაუხადაო, თუმცა ეს მხოლოდ მოარული ხმა იყო, ფაქტი კი...

სამართალდამცავებმა დაზარალებული ოჯახების გარემოცვის შესწავლა დაიწყეს. თავიდან იმ ბავშვის მამა დაკითხეს, რომელსაც ავტომობილი დაეჯახა და ბავშვი ადგილზე გარდაიცვალა. იმის მიუხედავად, რომ ავარიის შემსწრეები ამბობდნენ, მძღოლი უგონოდ მთვრალი იყოო, ჯერ „გაიშნიკებმა“ თქვეს უარი პირვანდელ ჩვენებაზე, მძღოლი ფხიზელი გახლდათო, შემდეგ პროკურორმაც შეცვალა მკაცრი ტონი, საბოლოოდ, მამაკაცს სამწლიანი პირობითი სასჯელი აკმარეს და ავტომობილის ტარებაც, სწორედ სამი წლით აუკრძალეს.

როცა ბავშვის მამამ გაიგო, ადვოკატი მოკლესო, ცრემლები წამოუვიდა, მერე ფეხზე წამოდგა, მაისური აიწია და სამართალდამცავებს მუცელზე ნაიარევი ანახა. როგორც მან თქვა, ადვოკატს რამდენჯერმე ჩაუსაფრდა, მისი მოკვლა სურდა, მაგრამ ვერ გაბედა, კაცის მოკვლა არ შემიძლიაო და სიმწრით, ადვოკატისთვის განკუთვნილი დანა მუცელში თავად ჩაირტყა, თანაც ადვოკატის მკვლელობის დღეს, მას ალიბი ჰქონდა – მეგობრებთან ერთად შვილის საფლავზე იყო და... უგონოდ დათვრა.

სიაში შემდეგი გაუპატიურების საქმეზე დაზარალებულების ოჯახი იყო, თუმცა როცა სამართალდამცავებმა საქმე კარგად შეისწავლეს, გაარკვიეს, რომ არავინ დაუკითხავთ. აღმოაჩინეს, რომ არა მარტო პროკურორი და მოსამართლე, არამედ დაზარალებულის ოჯახიც კი ამბობდა, დამნაშავე გაუშვითო ანუ ფული დაზარალებულებმაც აიღეს და როგორც ამბობდნენ, საკმაოდ დიდი თანხაც. სამაგიეროდ, ბრალდებული გისოსებს გადაურჩა და იმის გათვალისწინებით, რომ მისი მამა ტრესტის მმართველი იყო, დიდად, არც ოჯახის ბიუჯეტს უნდა შეტყობოდა შვილის თავხედური და სასტიკი დანაშაული.

ადვოკატის სიაში მესამე „კანონიერი ქურდის“ შვილი იყო, რომელსაც ბრალად ბინის ქურდობა ედებოდა. პრინციპში, რაღა ედებოდა, სახლის პატრონმა ფაქტზე წაასწრო და ისეთი შემოსცხო, აზრზე კარგა ხნის შემდეგ მოიყვანეს. ბინის მეპატრონე კერკეტი კაკალი აღმოჩნდა, ფულზეც უარი თქვა, „კანონიერი ქურდის“ მუქარაც არაფრად ჩააგდო და საქმეს ბოლომდე მიჰყვა. ადვოკატმა იმდენი მოახერხა, რომ საქმეში ალკოჰოლი გაჩნდა და მოსამართლემაც დაასკვნა – ახალგაზრდა ბიჭი დათვრა, სახლის სადარბაზო აერია, ღია კარში შევიდა, სადაც დაიძინა, ბინის მეპატრონეს კი ქურდი ეგონაო, მით უმეტეს, ეს ბიჭისთვის პირველი საქმე იყო. ჰოდა, სასამართლოზე ბინის პატრონს უთქვამს, ადვოკატის ოინებია, ამხელა კაცი სულელად რომ გამომიყვანა და ამისთვის პასუხს საკუთარი სიცოცხლით აგებსო. ეს სიტყვები სასამართლოს ოქმშიც კი იყო შეტანილი, ამიტომ მამაკაცი დაკითხვაზე დაიბარეს.

„ის ადვოკატი სიკვდილს კი იმსახურებდა, მაგრამ მე მოკვლას ნამდვილად არ ვაპირებდი. ყველაზე დიდი, რაც შეიძლებოდა მექნა, კარგად მეცემა. რაც შეეხება მკვლელობის დღეს, ხელის სათხოვნელად ვიყავი და უარი მითხრეს, ისე გავბრაზდი, იქაურობა დავლეწე და სამი დღე ციხეშიც მაყურყუტეს“, – განაცხადა ეჭვმიტანილმა და მისი ალიბი ასი პროცენტით დადასტურდა.

სანამ სამართალდამცავები მეოთხე საქმის შესწავლას დაიწყებდნენ, სამსახურში ძველი ექსპერტი დაბრუნდა და გამომძიებლის კაბინეტის კარი დაუკაკუნებლად შეაღო.

„სამსახურში დაბრუნების შემდეგ, ყველა საქმეს და სურათს გადავხედე. ახლა რომ საქმეს იძიებთ, ადვოკატის მკვლელობას, ჭრილობა მეცნო. თუ გახსოვთ, თითქმის ერთი წლის წინ, ღამით გოგონა დაჭრეს, თან ისე, რომ საშვილოსნო დაუზიანეს და ბავშვი აღარასოდეს ეყოლებოდა. სწორედ ასე ჰქონდა იმ გოგოს დანა დარტყმული, ჯერ ზემოდან ქვემოთ, შემდეგ კი პირიქით. გოგონა მხოლოდ იმიტომ გადარჩა, რომ შემთხვევით, სასწრაფო დახმარების მანქანამ გამოიარა და საოპერაციო მაგიდაზე, პრაქტიკულად, 10 წუთში იწვა. ჰოდა, ეს ჭრილობა ერთი ერთში ჰგავს იმას, რომელიც გოგონას ჰქონდა“, – სხაპასხუპით მიაყარა ექსპერტმა.

ადვოკატის საეჭვო საქმეებში მეოთხე ნომრად სწორედ ეს შემთხვევა იყო.

„გოგონა სიკვდილს ძლივს გადარჩა. ოჯახი ეჭვმიტანილს ბოლომდე აწვებოდა, მაგრამ ისე გამოვიდა, რომ ერთადერთმა მოწმემ, გოგონას თანაკლასელმა, ამოცნობაზე ენის ბორძიკით თქვა, მგონი, ეს იყოო და შემდეგ ის „მგონიც“ გადათქვა. არ ვიცი, შეაშინეს თუ ფული მისცეს, მაგრამ ფაქტია, ერთადერთი მოწმე, უბრალოდ, გაქრა, აღარ არსებობდა და ადვოკატმა გამარჯვება იზეიმა. ეჭვმიტანილმა საქართველო მეორე დღესვე დატოვა, რუსეთში წავიდა, რადგან მიხვდა, გოგონას მამა ყველაფერ ამას მარტივად ვერ გადაიტანდა, მთელი პროცესი იმას ამბობდა, სამართალი თქვენ დაადგენეთ, მე ნუ აღმასრულებინებთ მართლმსაჯულებასო. ჰოდა, ის დაკითხვაზე კი არ გამოვიძახე, პირდაპირ დასაკავებლად წავედი“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

გოგონას მამას წინააღმდეგობა არ გაუწევია, ჩუმად თქვა, ვიცოდი, ადრე თუ გვიან, ჩემზე რომ გამოხვიდოდით, რომ დაგაგვიანდათ, ვიფიქრე, ჩვენი მილიციაც არაფრად ვარგა-მეთქი და გამასამართლეთ, როგორც ვიმსახურებო. წესითა და რიგით, ადვოკატის მკვლელობას უდიდესი რეზონანსი უნდა გამოეწვია და დანარჩენი ადვოკატები უნდა აჯანყებულიყვნენ, მაგრამ პირიქით მოხდა. არასწორი წესებით თამაშის გამო, გარდაცვლილ კოლეგას ბევრი ვერ იტანდა და ამიტომ, მის მკვლელს ადვოკატად სამი ადამიანი სრულიად უსასყიდლოდ დაუდგა. ამის მიუხედავად, მოსამართლე ფაქტს ვერ გაექცეოდა, ვერც იმას, რომ ყველაფერი წინასწარ განზრახვით იყო დაგეგმილი და თვეების შემდეგ მოხდა, რამაც აფექტის ალბათობაც გამორიცხა და მკვლელობაში ბრალდებულს 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

როგორც გვეუბნებიან, მან ციხეში 8 წელი გაატარა და კარგი ყოფაქცევის გამო, იქიდან ვადაზე ადრე გათავისუფლეს.

ბათო ჯაფარიძე

პედოფილია – ეს სიტყვა საბჭოთა კავშირში ჩურჩულითაც კი იშვიათად წარმოითქმებოდა. იმის მიუხედავად, რომ პედოფილიის ფაქტები იყო და თან არაერთი, საბჭოთა ხელისუფლება ამას საგულდაგულოდ მალავდა, პედოფილიაში ბრალდებულებს კი ერთადერთი განაჩენი ელოდათ – დახვრეტა. დღეს დახვრეტის მუხლი საქართველოში გაუქმებულია და ვერც პედოფილებს სჯიან უმაღლესი ზომით, ვერც – ნარკოტიკების გამსაღებლებს...

პედოფილი, რომელიც 6 წლამდე გოგონებზე ნადირობს

სათამაშო დათუნიით გახსნილი უმძიმესი დანაშაული

1987 წლის გაზაფხულზე, თბილისში, ბავშვთა საავადმყოფოდან 6 წლის გოგონა გაქრა. ჰო, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, გაქრა, რადგან პალატაში დაბრუნებულმა დედამ შვილი ვერ აღმოაჩინაა. ექიმს ჰკითხა, იმან მხრები აიჩეჩა, შემდეგ – ექთანს, სხვა ექიმს და როცა კორიდორში მყოფმა ერთ-ერთმა ბავშვმა ჩუმად ჩაილაპარაკა, თქვენი შვილი ექიმს ნემსის გასაკეთებლად იმ მხარეს მიჰყავდაო, დედა „იმ მხარეს“ კივილით გაიქცა, რადგან იქ საავარიო გასასვლელი იყო. გოგონაც იქვე, საავარიო გასასვლელთან უგონოდ ეგდო. რა თქმა უნდა, ექიმებმა სასწრაფოდ გასინჯეს, ანალიზებიც აუღეს და გაარკვიეს, რომ ბავშვს საძილე ნემსი ჰქონდა გაკეთებული. მკურნალმა ექიმმა თავში ხელი შემოირტყა, ამ ნემსის გაკეთება არ შეიძლება იმ პრეპარატებთან, რომელსაც ბავშვი იღებს, რეაქციაში შევა და შესაძლოა, ლეტალური შედეგი დადგესო.

ბავშვი სასწრაფოდ რეანიმაციაში გადაიყვანეს და დედას მიკიბვ-მოკიბვის გარეშე უთხრეს – თუ ორგანიზმი სამი დღე გაუძლებს, ბავშვი იცოცხლებს, თუ არადა... რაღა თქმა უნდა, ექიმებმა მილიციაშიც დარეკეს.

„ადგილზე მისულებს, პრაქტიკულად, უმართავი პროცესი დაგვხვდა. დედა დასაბმელი იყო, ექიმები ძლივს აკავებდნენ, რეანიმაციის განყოფილებაში სურდა შესვლა, მაგრამ არ უშვებდნენ. ჩვენს დანახვაზე სულ გაგიჟდა, სად იყო მილიცია, შვილს რომ მიკლავდნენო. როგორც იქნა, ჩემმა ოპერებმა ქალი გააკავეს და ვენაში დამამშვიდებელი გაუკეთეს, თანაც ისეთი დოზა, რომ იმ დღეს, მის დაკითხვას აზრი არ ჰქონდა. ამიტომ, ის პატარა ბავშვი დავკითხეთ, რომელმაც დაინახა, თუ როგორ მიჰყავდა ექიმს გოგონა საავარიო გასასვლელისკენ, თუმცა ბევრი ვერაფერი თქვა – ექიმს თეთრი ხალათი ეცვა, პირბადე ეკეთა, თავზე ქუდი ეხურა და მხოლოდ შავი თვალები დავინახეო. შავი თვალებიც არ იყო სანდო ინფორმაცია, ბავშვი შორი მანძილიდან შავს და თუნდაც ყავისფერს ნაკლებად გაარჩევდა. ამიტომ, ადგილზე მყოფი ექიმებისა და ექთნების დაკითხვა დავიწყეთ“, – იხსენებს მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

იმ დროისთვის, როცა უცნობმა ექიმმა ბავშვი ჩაატარა, პრაქტიკულად, ყველა თანამშრომელს ალიბი ჰქონდა, გარდა მთავარი ექიმისა და სანამ საქმეში ბოლომდე გაერკვეოდნენ, სამართალდამცავებმა სწორედ... მთავარი ექიმი დააკავეს.

„თქვენ ხომ არ გადაირიეთ? მე, დამსახურებულ ექიმს ჩირქს მცხებთ და სიტყვაზე არ მენდობით, რომ ბავშვის გატაცებასთან საერთო არაფერი მაქვს. მე ვერ და არ ვამბობ, სად ვიყავი, მაგრამ ვიყავი გასული სადილზე და შემდეგ დავბრუნდი, ყველამ იცის, რომ ამ დროს სადილზე გავდივარ და ახლაც ასე იყო. თქვენ უნდა მენდოთ, სხვა გზა არ არის“, – ბოლო ხმაზე ყვიროდა ექიმი, თუმცა სიტყვაზე ნდობა არ გამოვიდა და როცა მან ერთი დღე კამერაში გაატარა, მიხვდა, ალიბი უნდა გამოემზეურებინა. როგორც გაირკვა, გვერდით კორპუსში, ექიმს საყვარელი ქალი ჰყავდა, რომელთანაც მართლაც, ყოველდღიურად, სადილზე ადიოდა და მის სახელს უფრთხილდებოდა, თუმცა სამართალდამცავებისთვის გამხელა მოუხდა. გამოძიებამ ვერსია გადაამოწმა და დასტურიც მიიღო. გამოდიოდა, რომ საავადმყოფოში, ექიმის ტანისამოსში ვიღაცამ შეაღწია, ვიღაც უცხო, მაგრამ იყო კიდევ ერთი, მცირე დეტალი, რომელიც გამოძიებას აუცილებლად დაეხმარებოდა.

საქმე ის გახლდათ, რომ საავარიო გასასვლელი კარის გასაღები რამდენიმე ადამიანს ჰქონდა და ეს წრე არცთუ დიდი გახლდათ. გასაღები არ სჭირდებოდა მედპერსონალს, მაგრამ სჭირდებოდა დამლაგებელს, რომელიც იქვე, კარის უკან ინახავდა ინვენტარს, ელექტრიკოსს, სამეურნეო ნაწილის ხელმძღვანელს.

მოკლედ, მილიციაში სწორედ სამეურნეო ნაწილის ხელმძღვანელი დაიბარეს, წინ ქაღალდი დაუდეს და უთხრეს, ჩამოეწერა იმ ადამიანთა სახელები, რომლებსაც გასაღები ჰქონდათ. სავარაუდოდ, გამტაცებელი იქიდან მიიმალა, რადგან როცა ბავშვი იპოვეს, კარი ღია იყო. სამეურნეო ნაწილის გამგემაც ექვსი ადამიანის გვარ-სახელი ჩამოწერა, თუმცა სამი მათგანი მაშინვე გამოირიცხა, რადგან ქალბატონები იყვნენ, ბავშვი კი ამტკიცებდა, გოგონა მამაკაც ექიმს მიჰყავდაო. გადაამოწმეს ყველა მათგანი და არც არაფერი – ყველას ალიბი ჰქონდა. ამიტომ, გამგე კიდევ ერთხელ დაიბარეს და კითხვა სხვაგვარად დაუსვეს – „ჩახედეთ სიას, ხომ არ გამოგრჩათ ვინმე, ან ხომ არ არის ისეთი, ვინც ადრე მუშაობდა თქვენთან და ჰქონდა გასაღები, ამჯერად კი აღარ მუშაობს?“

გამგემ ფურცელი ჩაიკითხა, მერე ჩაფიქრდა და სახე აელეწა – „იცით, ჩემი სახელი და გვარი არ ჩამიწერია“, რაზეც სამართალდამცავებს გაეცინათ, აქ ჩაწერის გარეშე გადავამოწმეთ და სუფთა ხართო. ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ, გამგემ კიდევ ერთი სახელი დაწერა, საავადმყოფოს მომმარაგებლის, კაცის, რომელსაც პროდუქტები მოჰქონდა და შემდეგ ამ პროდუქტებისგან ბავშვებს საკვებს უმზადებდნენ. იმ დღეს, როცა გოგონას გატაცების მცდელობა იყო, მომმარაგებელი სამსახურში არ უნდა ყოფილიყო და ის არც არავის უნახავს. სანამ მის დაკითხვას გადაწყვეტდნენ, სამართალდამცავები საავადმყოფოში წავიდნენ – ბავშვი აზრზე მოვიდა და ექიმებმაც დამაჯერებლად თქვეს, გოგონა გადარჩა და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრებაო.

„დედიკო პალატიდან რომ გავიდა, ვიღაც ექიმი შემოვიდა, ნემსი უნდა გაგიკეთოო და გავყევი. დედიკო ყოველთვის მეუბნება, ექიმებს დაუჯერე, მათ შენთვის კარგი უნდათო. მერე იქითკენ წამიყვანა (ბავშვმა ხელი საავარიო გასასვლელისკენ გაიშვირა), ნემსი მკლავში იქვე გამიკეთა, მე გული ამერია, მერე კიდევ ამერია და ის კაცი მანამდე კარს აღებდა, მერე, დაბლა დავეცი და არაფერი მახსოვს“, – სულ ეს იყო გოგონას მონაყოლი და იქვე მდგარმა მთავარმა ექიმმა დაბეჯითებით თქვა – გამტაცებელი არც ჩვენი თანამშრომელია და არც სამედიცინო სფეროს წარმომადგენელი, რადგან ასე რომ იყოს, ზუსტად ეცოდინებოდა, რა პრეპარატებით მკურნალობენ ასეთ ავადმყოფებს და მიხვდებოდა, დასაძინებელი წამალი რეაქციაში შევიდოდა და ბავშვს კომაში ჩააგდებდაო. ესეც დიდი შეღავათი იყო, სამართალდამცავებისთვის ექიმების თემა გამოირიცხა.

„იმედი როგორ უნდა დავარქვა, მაგრამ ერთადერთ იმედად სწორედ ის მომმარაგებელი გვყავდა. დავკითხეთ, მაგრამ მხრები აიჩეჩა, იმ დღეს ვისვენებდი, მთელი დღე ავტოფარეხში ვიყავი, მანქანას რაღაცებს ვუსწორებდი, თუ გინდათ, ჩემს ცოლს ჰკითხეთო. ცოლს კი ვკითხეთ, მაგრამ მან მხრები აიჩეჩა, არც კი ვიცი, ავტოფარეხი სად გვაქვს, იქ არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ ჭუჭყიანი ხელებით კი ამოვიდა და როცა ამბობს, ავტოფარეხში ვარ, ყოველთვის მაზუთიანი მოდის, ამიტომ იქ იქნებოდაო. გამოდიოდა, რომ მომმარაგებელს ალიბი არ ჰქონდა და ამის მიუხედავად, შინ გავუშვით“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

როგორც კი მომმარაგებელმა თავი სამშვიდობის იგრძნო და შემდეგ დღეს სამსახურში გამოცხადდა, სამართალდამცავები მის ოჯახში მივიდნენ და ცოლს ავტოფარეხის გასაღები სთხოვეს. მან უხმოდ მისცა და თან მხრები აიჩეჩა. გამომძიებლებმა მეზობლების მეშვეობით საჭირო „გარაჟი“ იპოვეს, გააღეს და გულდასმით გაჩხრიკეს. საინტერესოს ვერაფერს მიაგნეს, გარდა კუთხეში მიგდებული ძველი სათამაშო დათუნიასი, რომელიც 3-4 წლის წინ, ყველა მაღაზიაში იყიდებოდა. წყვილს ერთი შვილი ჰყავდა, ისიც დიდი, ცალკე ცხოვრობდა და ამიტომ, დათუნია ქალს ანახეს, იმან კი მხრები აიჩეჩა, პირველად ვხედავო.

„ბევრს ვფიქრობდი, სად მქონდა ეს დათუნია ნანახი და ერთ-ერთი ოპერიც მეუბნებოდა, რატომღაც მახსოვს ეს დათუნია, მაგრამ ვერაფრით ვიხსენებ, საიდან შეიძლება მახსოვდესო, თუმცა როცა განყოფილებაში დავბრუნდით, მაშინვე აღვიდგინეთ – სწორედ სამი წლის წინ, პატარა გოგონა დაიკარგა და როცა მშობლებმა მილიციაში სურათი მიიტანეს, ბავშვს ამგვარი დათუნია ეჭირა ხელში და ისიც თქვეს, ბავშვი დათუნიასთან ერთად დაიკარგაო. მაშინვე მომმარაგებლის დასაკავებლად გავედით“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

მომმარაგებელი სამართალდამცავებს ძალიან მშვიდად გაჰყვა, მაგრამ როცა დაკითხვის ოთახში მაგიდაზე დადებული დათუნია დაინახა, წაბარბაცდა, სახეზე აიღლეწა, თუმცა თავი მოთოკა და სკამზე დაეშვა. მას წინ სამი წლის წინ დაკარგული გოგონას სურათი დაუდეს და სახე ისევ შეეცვალა. სამართალდამცავებმა უკვე იცოდნენ, რომ მათ წინ გამტაცებელი იჯდა, მაგრამ როგორ უნდა დაემტკიცებინათ?

„მე მხოლოდ ის ვიცოდი, რომ ამ კაცის გაშვება არ შეიძლებოდა. ამიტომ, იმ უიშვიათეს მეთოდს მივმართე, რომელსაც მართლაც, ათასში ერთხელ ვიყენებდი – ეჭვმიტანილი დასამუშავებლად კუნთმაგარ ბიჭებს მივუგდე. მეორე დღეს, თბილისთან ახლოს, ტყეში, სამი წლის წინ დაკარგული გოგონას საფლავს ვთხრიდით“, – ამბობს ბატონი თენგიზი.

მამაკაცმა აღიარა, რომ პატარა გოგონების მიმართ მუდმივი ლტოლვა ჰქონდა, მაგრამ თავს თოკავდა. ვერ მოთოკა სამი წლის წინ და ვერც ამჯერად, თუმცა არ იცოდა, რომ მეორე შემთხვევის დროს, დასაძინებელი წამალი სხვა პრეპარატთან რეაქციაში შევიდოდა და როცა გოგონას გული აერია, უბრალოდ, დააგდო და გაიქცა, სიჩქარეში კი საავარიო გასასვლელის კარის დაკეტვა დაავიწყდა. სასამართლომდე საქმე არ მისულა, რადგან ეჭვმიტანილი საკანში ჩამომხრჩვალი ნახეს. ამბობდნენ, მას თავის მოკვლაში თანასაკნელები დაეხმარნენო, მაგრამ რეალურად, ამ გარდაცვალების გამო, არავინ დასჯილა.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ესპანეთის სამეფოს სამოქალაქო გვარდიის გენერალურ დირექტორს შეხვდა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, ვახტანგ გომელაური ესპანეთის სამეფოში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, ესპანეთის სამეფოს სამოქალაქო გვარდიის გენერალურ დირექტორს, მარია გამეს გამესს შეხვდა.

შეხვედრას საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, შალვა ბედოიძე ესწრებოდა.

შეხვედრის მონაწილეებმა სამართალდაცვით სფეროში არსებული თანამშრომლობის საკითხები განიხილეს და სამომავლო ურთიერთობის პერსპექტივები დასახეს.

მხარეებმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს ორმხრივ საპოლიციო თანამშრომლობის განვითარებაში პოლიციის ატაშეების როლსა და ბოლო პერიოდში ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ განხორციელებულ ერთობლივ და წარმატებულ ოპერაციებზე.

მარია გამეს გამესმა ხაზგასმით აღნიშნა უწყებებს შორის ორგანიზებული დანაშაულის თაობაზე ერთობლივი ანალიზის ჯგუფის შექმნის შესახებ გაფორმებული პარტნიორობის განცხადების მნიშვნელობა, რომლის ფარგლებში, კიდევ უფრო გაძლიერდა მხარეთა შორის თანამშრომლობა კრიმინალთან ეფექტიანი ბრძოლის მიმართულებით.

შეხვედრის დასასრულს, ვახტანგ გომელაურმა ესპანეთის სამოქალაქო გვარდიის წარმომადგენლებს არსებული თანამშრომლობის გაღრმავებაში შეტანილი წვლილისათვის მადლობის სიგელები გადასცა.

შინაგან საქმეთა მინისტრი ოფიციალური ვიზიტით ესპანეთის სამეფოს შინაგან საქმეთა მინისტრს შეხვდა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა ესპანეთის სამეფოში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, ესპანეთის სამეფოს შინაგან საქმეთა მინისტრთან, ფერნანდო გრანდე მარლასკა გომესთან შეხვედრა გამართა.

შეხვედრას საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, შალვა ბედოიძე ესწრებოდა.

შეხვედრის ფარგლებში, მხარეებმა ორი ქვეყნის სამართალდამცავ უწყებებს შორის არსებულ ეფექტიან ორმხრივ თანამშრომლობაზე ისაუბრეს.

ფერნანდო გრანდე მარლასკა გომესმა ვახტანგ გომელაურს კიდევ ერთხელ დაუდასტურა ესპანეთის მხარდაჭერა საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესში.

შეხვედრის მონაწილეებმა, ასევე აღნიშნეს პოლიციის ატაშეების როლი ორ სახელმწიფოს შორის საპოლიციო სფეროში თანამშრომლობის განვითარებაში, აგრეთვე, ხაზი გაუსვეს საქართველოსა და ესპანეთს შორის, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით არსებული შეთანხმების მნიშვნელობას, ერთობლივი ანალიზის ჯგუფების საქმიანობასა და ევროპოლის ფარგლებში ნაყოფიერ თანამშრომლობას.

ესპანურმა მხარემ მზადყოფნა გამოთქვა ურთიერთობის კიდევ უფრო გაღრმავებისა და გამოცდილების გაზიარების მხრივ ისეთი მიმართულებებით, როგორებიცაა ნარკოდანაშაული, არალეგალური მიგრაცია, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაძლებლობების განვითარება და სხვა.

შეხვედრის დასასრულს, ვახტანგ გომელაურმა ესპანეთის სამეფოს შინაგან საქმეთა მინისტრს წარმატებული თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადა და საპასუხო ვიზიტით საქართველოში მოიწვია.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ თბილისში მომხდარი მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ხუთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების და სამძებრო ღონისძიებების შედეგად, თბილისში მომხდარი ორი პირის მკვლელობისა და რამდენიმე პირის დაჭრის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნეს – დაკავებულია ხუთი პირი.

პოლიციამ 1987 წელს დაბადებული კ.მ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავა. სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით დაკავებულია 1971 წელს დაბადებული გ.ქ., ხოლო განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის დაკავებულნი არიან წარსულში ნასამართლევი, 1986 წელს დაბადებული გ.გ., 1991 წელს დაბადებული გ.ა. და წარსულში ნასამართლევი, 1990 წელს დაბადებული გ.პ.

შინაგან საქმეთა სამინისტრო განაგრძობს დანაშაულში მონაწილე სხვა პირების დაკავების ღონისძიებებს.

ჩატარებული გამოძიებით, ამ ეტაპზე დადგენილია, რომ მიმდინარე წლის 2 აპრილს, თბილისში, კოსტავას ქუჩის მიმდებარედ განთავსებულ ერთ-ერთ ორგანიზაციაში, დაახლოებით, ოცამდე პირს შორის, სიტყვიერი კამათი წარმოიშვა. მოგვიანებით, კამათი ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა, რასაც ორივე მხრიდან ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლა მოჰყვა.

ცეცხლსასროლი იარაღიდან მიღებული ჭრილობით ადგილზე გარდაიცვალა 1971 წელს დაბადებული კ.ქ., ხოლო შემთხვევის ადგილის მიმდებარედ გარდაიცვალა კიდევ ერთი პირი, 1970 წელს დაბადებული ვ.გ.

დაპირისპირების დროს, სხეულის სხვადასხვა დაზიანება მიიღო ოთხმა პირმა: 1989 წელს დაბადებულმა ო.ბ.-მ, 1971 წელს დაბადებულმა დ.ც.-მ, 1962 წელს დაბადებულმა ხ.ც.-მ, 1989 წელს დაბადებულმა მ.მ.-მ. ყველა მათგანი საავადმყოფოშია გადაყვანილი და შესაბამისი მკურნალობა უტარდებათ.

ორი ან მეტი პირის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების, განზრახ მკვლელობის, დანაშაულის შეუტყობინებლობის და ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტებზე გამოძიება სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, 108-ე მუხლით, 117-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ პუნქტითს და სსკ-ის 376-ე მუხლის მე-2 ნაწილებით მიმდინარეობს.

პოლიციამ ნარკოდანაშაულისთვის ერთი პირი დააკავა – ამოღებულია განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებები

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებებისა და ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, 2001 წელს დაბადებული უკრაინის მოქალაქე კ.ლ. დააკავეს. მას ბრალი განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვაში ედება.

დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ საქართველოში, მიმდინარე წლის თებერვლიდან, დროებით მცხოვრები უკრაინის მოქალაქე კ.ლ., მოხმარების მიზნით, ნარკოტიკულ საშუალებებს უკანონოდ იძენდა და ინახავდა. სამართალდამცველებმა, ბრალდებულის პირადი ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოიღეს ნარკოტიკული საშუალება „ლიზერგიდი“, ასევე, 400 ლარი და 1 200 აშშ დოლარი. ბრალდებულის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას კი ამოღებულია 1 შეკვრა ნარკოტიკული საშუალება „ჰაშიში“.

განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილით მიმდინარეობს.

კახეთის პოლიციამ ოჯახის წევრების მიმართ ჩადენილი მძიმე დანაშაულებისთვის ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული კომპლექსური საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1982 წელს დაბადებული დ.გ. დააკავეს.

მას ბრალად ედება გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით მეუღლის გაუპატიურება, არასრულწლოვნის თანდასწრებით მეუღლის არაერთგზის ცემა, მუქარა, თვითმკვლელობამდე მიყვანა და წინასწარი შეცნობით, თოთხმეტი წლის ასაკს მიუღწეველი შვილების მიმართ ჩადენილი გარყვნილი ქმედება.

დანაშაულები 10-დან 13 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებებით დადგინდა, რომ ბრალდებული დ.გ., საკუთარ მეუღლეზე – 1993 წელს დაბადებულ თ.ც.-ზე, გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად სისტემატურად ძალადობდა. გარდა ამისა, ბრალდებული მეუღლეს მისი სურვილის საწინააღმდეგოდ სქესობრივი კავშირის დამყარებას აიძულებდა, ხოლო არასრულწლოვანი შვილების მიმართ გარყვნილ ქმედებებს ახორციელებდა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11’-137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, 11’-126-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, 11’-151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 11’-115-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 11’-141-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობს.

ფიფამ მსოფლიო გააოცა

თამამად შეიძლება ითქვას, რომ გამაოგნებელი რამ მოხდა. მსოფლიო ფეხბურთის ორგანიზაცია ფიფა, პრაქტიკულად, ხელშეუხებელია. ეგ კი არა და, ნებისმიერი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მოხსნა რომ გადაწყვიტოს იმავე ქვეყნის ხელისუფლებამ, უბრალოდ ვერ შეძლებს, რადგან ფეხბურთის ფედერაციები მხოლოდ ფიფას ემორჩილებიან და თუ სახელმწიფო მათ წინ წავა, ფიფა ქვეყანას ორგანიზაციიდან გარიცხავს, რაციმას ნიშნავს, რომ ამ ქვეყნის ვერცერთი კლუბი და ნაკრები, საერთაშორისო ტურნირებზე მონაწილეობას ვერ მიიღებს, ამიტომ უწოდებენ ფეხბურთის ფედერაციებს სახელმწიფოს სახელმწიფოში.

უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ, ფიფამ რუსეთის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის უფლება წაართვა და ამასთან ერთად, კლუბებიც ევროსარბიელს ჩამოაშორა. ჰოდა, სხვადასხვა ქვეყნებმა მოწოდება გააკეთეს, რომ ფიფას რუსეთი საერთოდ გაერიცხა, რაც ნათელი მაგალითი იქნებოდა იმისა, თუ ვის მხარეს არის ცივილიზებული სამყარო. გასულ უქმეებზე, ფიფას მორიგი კონგრესი გაიმართა და... რუსეთის გარიცხვის საკითხი არც კი დამდგარა. სამაგიეროდ, დღის წესრიგში დადგა ფიფაში ოთხ ოფიციალურ ენას (ინგლისური, ესპანური, ფრანგული, გერმანული) დამატებოდა მეხუთე და ფიფას მეხუთე ოფიციალური ენა... რუსული გახდა. ნამდვილად ვერ გეტყვით, დღევანდელ ვითარებაში, ვის თავში მოიხარშა და მომწიფდა ეს აზრი, მაგრამ ფაქტია, რომ წინადადება გავიდა და დამტკიცდა კიდეც.

კვარაცხელია ახალ სეზონს „ნაპოლიში“ დაიწყებს

როგორც იქნა, ხვიჩა კვარაცხელიამ ყაზანის „რუბინს“ თავი დააღწია და ახლა ბათუმის „დინამოში“ თამაშობს. სიმართლე გითხრათ, როცა აღნიშნული გარიგება შედგა, ბევრი გაოცდა, რადგან ხვიჩას ტოპ-კლუბები იწვევდნენ, მისი სატრანსფერო ფასი 12-15 მილიონ ევრომდე თამაშობდა და ამ დროს აჭარულ კლუბში მისი გადასვლა, ცოტა არ იყოს, უცნაურად ჩანდა. იმის მიუხედავად, რომ ბათუმური კლუბი საქართველოს ჩემპიონია, უშუალოდ ჩემპიონატის დონე არ გვაქვს ისეთი, როგორიც კვარაცხელიას შეეფერება, თუმცა...

რამდენიმე იტალიური გამოცემა ერთ ხმაში ამტკიცებს, რომ კვარაცხელია მიმდინარე სეზონს „დინამოში“ ჩაამთავრებს, შემდეგ კი ნეაპოლში გადაბარგდება და „ნაპოლის“ მაისურს მოირგებს, კლუბის, რომელშიც ლეგენდარული დიეგო მარადონა აგორებდა ბურთს და კლუბში, რომელსაც არა მარტო საჩემპიონო ამბიციები აქვს.

„კვარაცხელიას და „ნაპოლის“ წარმომადგენლებს შორის იტალიაში შეხვედრა შედგა, რომელიც კარგი შედეგით დასრულდა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ შეთანხმება შედგა, რომლის მიხედვითაც, ქართველი „ნაპოლისთან“ ხუთწლიან კონტრაქტს გააფორმებს, სეზონში კი 1 მილიონ ევროზე ოდნავ მეტს მიიღებს. რაც შეეხება ფეხბურთელის სატრანსფერო ფასს, ბათუმის „დინამოს“ მოთამაშის სანაცვლოდ, 10 მილიონ ევროს გადაუხდიან“, – წერს იტალიური napolicalciomercato.it.

შეგახსენებთ, რომ კვარაცხელიას „რუბინთან“ კონტრაქტი 2024 წლამდე აკავშირებს, მაგრამ მიმდინარე მოვლენების გამო, უეფამ რუსეთში მოთამაშე ლეგიონერებს უფლება მისცა, ზაფხულამდე სხვა კლუბებში ითამაშონ, ზაფხულის შემდეგ კი გადაწყდება, დაბრუნდებიან თუ არა ისინი კლუბებში. ჰოდა, კულუარულად ამტკიცებენ, რუსეთიდან წასული ლეგიონერების დაბრუნება გამორიცხულია და ყველა მათგანი ახალი გუნდის მოძებნითაა დაკავებულიო.

რუსებმა უკრაინელი ფეხბურთელი მშობლებთან ერთად წამებით მოკლეს

25 წლის უკრაინელი ფეხბურთელი, ალექსანდრ სუხენკო რუსმა ოკუპანტებმა მშობლებთან და სხვა მოქალაქეებთან ერთად, 23 მარტს, კიევის რაიონის სოფელ მოტიჟინიდან გაიტაცეს. 2 აპრილს, უკრაინული საბრძოლო დაჯგუფება „მაკაროვის“ ხელმძღვანელმა, ვადიმ ტოკარმა განაცხადა, რომ სუხენკოს ოჯახის ყველა წევრი გარდაცვლილი იპოვეს, მათი სხეულები კი ნაწამებ მდგომარეობაში იყო.

ცნობისთვის, რამდენიმე დღის წინ, რუსმა სამხედროებმა უკრაინელი მოკრივე სავარჯიშო დარბაზში დახვრიტეს. ზოგადად, უკვე ნათლად გამოჩნდა ტენდენცია, რომ რუსები უკრაინელ სპორტსმენებს განსაკუთრებულად ერჩიან და მათ წამებით კლავენ.

ნაკრებები მსოფლიოს ჩემპიონატისთვის დალაგდნენ

ყატარის დედაქალაქ დოჰაში, მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის წილისყრა შედგა. შეგახსენებთ, რომ მთავარი საფეხბურთო მოვლენა ყატარში, მიმდინარე წლის 21 ნოემბრიდან 18 დეკემბრის ჩათვლით გაიმართება. რვა ჯგუფში ნაკრებები ისე გადანაწილდნენ, რომ გულშემატკივარს პირდაპირ ჯგუფური ეტაპიდან მოუწევს თვალსასეირო შეხვედრების ყურება. მარტო გერმანიისა და ესპანეთის დაპირისპირება რად ღირს, ან არგენტინა-პოლონეთის ჯახი. მთავარ ფავორიტად, რაღა თქმა უნდა, ბრაზილიის ნაკრები სახელდება, თუმცა ფეხბურთი იმიტომ არის სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობა, რომ ხშირად ლოგიკას არ ექვემდებარება.

სანამ ჯგუფების შემადგენლობას გაგაცნობთ, გეტყვით, რომ მუნდიალის დარჩენილი სამი მონაწილე ზაფხულში გაირკვევა. ივნისში, უელსის ნაკრები უკრაინისა და შოტლანდიის ნაკრებ გუნდებს შორის გამარჯვებულს უნდა შეხვდეს. სამხრეთ ამერიკისა და აზიის პლეი-ოფში პერუს ნაკრები არაბეთის გაერთიანებული საემიროებისა და ავსტრალიის ნაკრებებს შორის გამარჯვებულს შეხვდება, ხოლო ბოლო მონაწილე კი კოსტა რიკასა და ახალ ზელანდიას შორის დუელში გაირკვევა.

A ჯგუფი: ყატარი, ეკვადორი, სენეგალი, ნიდერლანდები;

B ჯგუფი: ინგლისი, ირანი, აშშ, უელსი/შოტლანდია ან უკრაინა;

C ჯგუფი: არგენტინა, საუდის არაბეთი, მექსიკა, პოლონეთი;

D ჯგუფი: საფრანგეთი, ავსტრალია/პერუ ან საამიროები, დანია, ტუნისი;

E ჯგუფი: ესპანეთი, კოსტა რიკა ან ახალი ზელანდია, გერმანია, იაპონია;

F ჯგუფი: ბელგია, კანადა, მაროკო, ხორვატია;

G ჯგუფი: ბრაზილია, სერბეთი, შვეიცარია, კამერუნი;

H ჯგუფი: პორტუგალია, განა, ურუგვაი, სამხრეთ კორეა.

ძიუდოისტებმა ანტალია დაიპყრეს

თურქეთის ქალაქ ანტალიაში, გასულ უქმეებზე გამართული გრანდ-სლემი ქართველი ძიუდოისტების ტრიუმფით დასრულდა. -73 კგ-ში, გიორგი ტერაშვილმა ყველასთვის მოულოდნელად ძალიან კარგად იჭიდავა და ოქროს მედალი მოიპოვა. მოულოდნელად კი იმიტომ, რომ ტერაშვილი მხოლოდ 19 წლისაა და ეს მისთვის პირველი დიდი ტურნირი იყო. თანაც, მან ფინალში იტალიელი მსოფლიოს ჩემპიონი, ლომბარდო დაამარცხა, რასაც მართლა არავინ ელოდა. ისე, გიორგი 16 წლის იყო, დიდებში საქართველოს ჩემპიონი რომ გახდა და ეს ბიჭი მომავალში თავის სიტყვას აუცილებლად ხმამაღლა იტყვის.

მოლოდინისამებრ, ოქროს მედალი მოიპოვა +100 კგ-ში მოასპარეზე გურამ თუშიშვილმა, რომელიც ფინალში ცოტა მოდუნდა და მეტოქისგან ერთი ვაზარი გაუშვა, თუმცა შემდეგ აშკარად გაბრაზება დაეტყო და ლამაზი გდებით სუფთა გამარჯვება მოიპოვა. ოქროს მედლების მოპოვების შანსი ჰქონდათ ლუკა მაისურაძეს და ლუხუმ ჩხვიმიანს, თუმცა ორივემ, სწორედ ფინალური შეხვედრა დათმეს, თუმცა ვერცხლის მედლებიც აქტივში უნდა ჩაიწეროს, რადგან ლუხუმი ტრავმის მორჩენის შემდეგ, პირველ ტურნირს ჭიდაობდა, მაისურაძე კი გამოცდილებას ნელ-ნელა იგროვებს და მომავალში შეცდომებისგან დაზღვეული იქნება. ამ შედეგით, საქართველოს ნაკრებმა, საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი მოიპოვა.

ვან გაალი კიბოს ებრძვის

ლეგენდარული ჰოლანდიელი მწვრთნელი, ნიდერლანდების ნაკრების თავკაცი, ლუი ვან გაალი პროსტატიტის კიბოს ებრძვის. როგორც თავად სპეციალისტი აცხადებს, მას სიმსივნის აგრესიული ფორმა აქვს და აღიარებს, რომ ექიმები სანუგეშოს ვერაფერს ეუბნებიან, თუმცა...

„პროსტატის კიბოს აგრესიული ფორმა მაქვს, ქიმიო-თერაპია უკვე 25-ჯერ გავიკეთე. ეროვნული ნაკრების შეკრებიდან ღამით საავადმყოფოში მივდიოდი. ფეხბურთელებმა არაფერი იცოდნენ, მათ ეგონათ, რომ ჯანმრთელი ვიყავი, მაგრამ ასე არ არის. ფეხბურთელებს ამის შესახებ არაფერი ვუთხარი, მსურდა, რომ ჩემს მდგომარეობას მათ თამაშზე გავლენა არ მოეხდინა. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ნაკრები მსოფლიოს 2022 წლის ჩემპიონატისთვის სრულფასოვნად მოვამზადო და რაღა თქმა უნდა, ჩემს გეგმებში არ შედის, მუნდიალს გამოვაკლდე“, – განაცხადა 70 წლის სპეციალისტმა.

მთავარი სატრანსფერო სამიზნე კილიან მბაპეა

ფრანგული „პსჟ“-ს 22 წლის ფორვარდს, კილიან მბაპეს კლუბთან მოქმედი კონტრაქტი მიმდინარე წლის 30 ივნისს ეწურება. პარიზელები მზად არიან, ახალგაზრდა შემტევს ზღაპრული ჯამაგირი შესთავაზონ და თვეში 5 მილიონი ევრო უხადონ, რაც წლიურად 60 მილიონია, თუმცა ფეხბურთელს მადრიდის „რეალში“ გადასვლა სურს. ესპანური გრანდი მხოლოდ 40 მილიონის გადასახდელადაა მზად, მაგრამ იმის პირობასაც დებს, რომ ფეხბურთელის სარეკლამო კონტრაქტებიდან მიღებულ შემოსავალზე პრეტენზია არ ექნება, ეს კი დამატებით 30 მილიონი ევროა. ახლა საინტერესო ის გახლავთ, რას მოიფიქრებენ პარიზელები და გაზრდიან თუ არა შეთავაზებას. როგორც ჩანს, 22 წლის თავდამსხმელისთვის ფული მეორეხარისხოვანი ნამდვილად არაა.

„ყველამ იცის, რომ ჩემს მომავალთან დაკავშირებით, გადაწყვეტილება ჯერ არ მიმიღია. ჯერ კვლავ ვფიქრობ, რადგან ბევრი ახალი ელემენტია გასათვალისწინებელი. როდესაც გადაწყვეტილებას მივიღებ, ამას აუცილებლად გაიგებთ. შესაძლებელია თუ არა „პსჟ“-ში დარჩენა? – რა თქმა უნდა“, – ამბობს მბაპე.

რატომ გაძვირდა ბენზინისა და დიზელის საწვავი

მაკა რუხაძე

1 ლიტრი „სუპერი“ 4.00 ლარი – საწვავის ფასი საქართველოში ისტორიულ მაქსიმუმზეა

პირველად, ბოლო 30 წლის განმავლობაში, საწვავის ფასი ისტორიულ მაქსიმუმზეა. ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის მონაცემებზე დაყრდნობით, „სუპერის“ ტიპის ბენზინისა და დიზელის ფასმა 4.00 ლარს გადააჭარბა. ქვეყნის მასშტაბით, სხვადასხვა კომპანიის ბენზინგასამართ სადგურებში, ყველაზე მოთხოვნადი – „რეგულარის“ ტიპის საწვავი 3.75-3.80 ლარის ფარგლებში მერყეობს. ინფლაცია და ამის გამო საწვავის გაძვირება მთავრობის სხდომაზე, პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა განიხილა. ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, არსებული კრიზისების ფონზე, როგორებიცაა პანდემია, პოსტპანდემიური პერიოდი და ახლა უკვე ომი უკრაინაში, ქვეყანაში ინფლაციის დონე მაღალია. თუმცა, იქვე დასძინა, რომ მთავრობა ამ ყველაფერს გააზრებით ეკიდება და იდგმება კონკრეტული ნაბიჯები, რათა ქვეყანაში ეკონომიკურ ზრდას მიაღწიონ: „მინდა, შევახსენო მოსახლეობას, ძვირფას მოქალაქეებს, რომ საწვავის ფასების მიხედვით, 21 მარტის მონაცემებით, მსოფლიოს 170 ქვეყანას შორის, 1 ლიტრი ბენზინის სიიაფით, საქართველო 71-ე იყო. 99 ქვეყანაში, ბენზინის საწვავი უფრო ძვირია, ვიდრე საქართველოში“. ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარე ვანო მთვრალაშვილმა „ვერსიასთან“ ინტერვიუში განაცხადა, რომ რუსეთ-უკრაინის ომმა, ნავთობის ფასებიდან გამომდინარე, შეერთებული შტატებიდან დაწყებული, ევროპის ქვეყნებშიც კი ფასების ნახტომისებური ზრდა გამოიწვია. მისი თქმით, საწვავი ყველგან და რა თქმა უნდა საქართველოშიც გაძვირებულია.

– ბატონო ვანო, გარდა იმისა, რომ უკრაინა და რუსეთი საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებია, ამერიკამ და ევროკავშირმა რუსეთს ფინანსური სანქციებიც დაუწესა. ცხადია, მძიმე ვითარებაა, როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით, მაგრამ რამ გამოიწვია საწვავის ასე გაძვირება?

– საქართველოში საწვავის ფასთან დაკავშირებით ვითარება დრამატულად რთულია და ამის ძირითადი მიზეზი გახლავთ ომი უკრაინაში. ომი რომ არა, რა თქმა უნდა, ნავთობზე ასეთი მაღალი ფასი არ დაფიქსირდებოდა და შესაბამისად, არც ჩვენთან იქნებოდა რეკორდულად მაღალი ფასები საწვავზე. ყველა იმ ქვეყანაში, რომლებიც ნავთობისა და ნავთობპროდუქტების იმპორტზე არიან დამოკიდებულნი, საწვავზე ნახტომისებური ზრდა და რეკორდულად მაღალი ფასები ფიქსირდება – ვგულისხმობ, როგორც შეერთებულ შტატებს, ასევე ევროკავშირის ქვეყნებსა და ჩვენს სამეზობლოს.

ვითარება იმდენად რთული და დრამატულია, რომ ჯო ბაიდენის განცხადებით, შეერთებული შტატები თავისი სტრატეგიული მარაგებიდან ყოველდღიურად მილიონ ბარელს გამოყოფს და მიაწოდებს ბაზრებს. ამას მხოლოდ იმიტომ გააკეთებს, რომ ნავთობზე ფასების ზრდა შეაჩეროს.

მეტიც, დიდმა შვიდეულმა მოუწოდა ოპეკი პლიუსს, რომ გაზარდოს ნავთობის წარმოება. ეს იმიტომ, რომ თუ ნავთობის წარმოება გაიზრდება, ფასები დასტაბილურდება და შემცირდება. თუმცა ჯერჯერობით, ოპეკი პლიუსი ამ ნაბიჯს არ დგამს და იმ პირობებში, როდესაც უკრაინის ომის ერთ-ერთი მონაწილე გახლავთ ქვეყანა, რომელიც მსოფლიოში, ნავთობის ნომერი მეორე მწარმოებელია, რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს, ნავთობის ფასების არასტაბილურობას იწვევს.

მაგალითად, უკრაინაში ომის დაწყებიდან დღემდე, დიზელის საწვავის საერთაშირისო ფასი პლატცის მიხედვით, 1 ტონაზე 45%-ით გაიზარდა, ხოლო ბენზინის საერთაშორისო ფასმა პლატცის მიხედვით, 20-22%-ით მოიმატა. შესაბამისად, სწორედ ესაა მიზეზი, რის გამოც საქართველოში საწვავი გაძვირდა. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ წლის დასაწყისიდან, საწვავის ფასების აღმავალი ტრენდი ფიქსირდებოდა ანუ 2022 წლის იანვრიდან, საწვავი ძვირდებოდა.

– უკრაინაში რომც არ შეჭრილიყო რუსეთი, წლების მანძილზე, საწვავის გაძვირება მაინც პრობლემას წარმოადგენდა. ბოლო პერიოდში, საკმაოდ საინტერესო ინიციატივით გამოხვედით საწვავის აქციზის ფასთან დაკავშირებით, ვგულისხმობ მცოცავი გადასახადის შემოღებას. რა ხდება ამ მხრივ?

– მართლაც ძალიან მაღალი ფასები დაფიქსირდა საწვავზე, რაც ინფლაციას დამატებით წნეხს უქმნის. გამოსავალი აქციზის გადასახადების შემცირებაა, რაც პირდაპირ მოქმედებს საწვის ფასზე, მაგრამ მეორე მხრივ, სახელმწიფო დაკარგავს გარანტირებულ და მნიშვნელოვან შემოსავლებს. შესაბამისად, ამ შემთხვევაში, მთავრობა ერთგვარი არჩევანის წიმაშე დგას – ამ ორი ინიციატივიდან, რომელია ქვეყნისთვის პრიორიტეტული მიმდინარე ეტაპზე. ფინანსთა მინისტრის, ლაშა ხუციშვილის განცხადებით, ახლა პრიორიტეტულია გადასახადები და შესაბამისად, მათი შემცირება არ განიხილება.

კიდევ ერთი გამოსავალია ეროვნული ვალუტის – ლარის კურსის გამყარება და ბოლო პერიოდში ვხედავთ, რომ ლარი მყარდება.ეროვმნული ვალუტის გამყარება საწვავის მზარდ ფასებს შეაჩერებს და დაასტაბილურებს კიდეც. აქედან გამომდინარე, თუ ლარი გამყარებას განაგრძობს, ეს უდავოდ მნიშვნელოვანი ბერკეტი იქნება.

გულის დაავადებებს ხმით ამოიცნობენ

აშშ-ს მეიოს კლინიკის მკვლევარები ვარაუდობენ, რომ გულსისხლძარღვთა დაავადების მქონე პირებში გულის შეტევის რისკის ამოცნობა მათი ლაპარაკის მიხედვით შეიძლება. ლაპარაკია კომპიუტერულ ალგორითმზე, რომელიც პაციენტების ხმების ჩანაწერის მიხედვით გამოთვლის, ვინ არის უფრო სერიოზული რისკქვეშ. ალორითმმა გააანალიზა ადამიანის ხმის 80-ზე მეტი მაჩვენებელი, მათ შორის, სიმაღლე, ინტონაცია, ცვლილებები სიხშირესა და ტონში – ისიც კი, რაც ადამიანის ყურისთვის შეუმჩნეველია.

რა გავლენას ახდენს გულის მდგომარეობა ხმაზე, სწავლულებს ჯერ არ დაუდგენიათ, თუმცა მათი ვარაუდით, ეს ნერვულ სისტემას უკავშირდება. კვლევისას, მედიკოსებმა 108 პაციენტს, რომელთა ასაკი 60 წლის ფარგლებში იყო და სავარაუდოდ, გულის იშემიური დაავადები ჰქონდათ, სმარტფონზე სამი პატარა ხმოვანი ჩანაწერის გაკეთება სთხოვეს. თითოეული ჩანაწერი ალგორითმმა შეამოწმა და მაღალ რისკქვეშ მყოფები გამოავლინა. ამ პაციენტებზე კიდევ ორი წლის დაკვირვების შედეგად გაირკვა, რომ ალგორითმით მონიშნულთა 60%, იმ პერიოდში, გულის შეტევით მოხვდა კლინიკაში.

ქრონიკული კოვიდისგან განკურნეს

სწავლულებმა პირველი აღწერა გამოაქვეყნეს Pfizer-ის რნმ-ვაქცინისა, რომელიც ქრონიკული კორონავირუსის წინააღმდეგ თერაპევტული მკურნალობისთვის გამოიყენეს. 37 წლის მამაკაცი, რომელსაც იშვიათი გენეტიკური დაავადება (ვისკოტ-ოლდრიჩის სინდრომი) აქვს, 218 დღის განმავლობაში, მუდმივად კოვიდ-დადებითი იყო. ამასთან, თავიდან მას ვირუსის ძალიან მსუბუქი სიმპტომები ჰქონდა. დაინფიცირებიდან ხუთი თვის შემდეგ აღებული ანალიზებით პაციენტის სისხლში ანტისხეულები არ აღმოჩნდა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მისი იმუნური სისტემა საერთოდ არ იბრძოდა ვირუსის წინააღმდეგ. ამის გამო, ექიმებმა გადაწყვიტეს, ექსპერიმენტული მკურნალობისთვის მიემართათ. მათ მამაკაცს რნმ-ვაქცინის ორი დოზა, ოთხკვირიანი ინტერვალის შუალედით გადაუსხეს. პირველი გადასხმიდან ორ კვირაში, პაციენტის სისხლში ვირუსული მასალის მოცულობა შემცირდა. მეორე დოზის შემდეგ, ექვს კვირაში კი, მამაკაცს პირველად დაუფიქსირდა კოვიდ-ტესტზე უარყოფითი შედეგი.

ადამიანის სისხლში მიკროპლასტმასი აღმოაჩინეს



ამსტერდამის თავისუფალი უნივერსიტეტის სწავლულებმა, პირველად მსოფლიოში, ადამიანის სისხლის მიკროპლასტიკით დაბინძურება აღმოაჩინეს. ეს აღმოჩენა გვიჩვენებს, რომ ნაწილაკებს შეუძლიათ სხეულში გადაადგილდნენ და ორგანოებზე დაილექონ. მკვლევარებმა 22 ანონიმი დონორის სისხლის ნიმუშები გამოიკვლიეს და 17 მათგანში 0.0007 მმ ზომის პლასტმასის ნაწილაკები აღმოაჩინეს. ნიმუშების ნახევარი იმ პლასტმასს შეიცავდა, რომელიც ჩვეულებრივ, სასმელისთვის განკუთვნილი ბოთლებისთვის გამოიყენება, მესამედში ნახეს პოლისტიროლი – მას პროდუქტების შესაფუთად იყენებენ. ნიმუშების მეოთხედში კი პოლიეთილენი ნახეს, რომლისგანაც ცელოფნის პაკეტებს ამზადებენ, ასევე იყო ნიმუშებიც, რომლებიც ერთდროულად ორი ან სამი სახის პლასტმასს შეიცავდა.

ვირუსს ულტრაიისფერი განათება გაანადგურებს



ამერიკელმა და ბრიტანელმა სწავლულებმა შორეული ულტრაიისფერი გამოსხივების ახალი სახეობა Far-UVC წარადგინეს, რომელიც შენობაში, ხუთ წუთში ანადგურებს მიკრობების 98%-ს. შეგიძლიათ, ასეთი სანათები ჭერზე განათავსოთ. მათი მუშაობა შეაფერხებს ჰაერ-წვეთოვანი გზით დაავადებების გავრცელებას, მათ შორის, კოვიდსა და გრიპსაც. როგორც სწავლულები აცხადებენ, Far-UVC იაფი საშუალებაა შენობის გასაწმენდად და ადამიანების ჯანმრთელობისთვისაც უსაფრთხოა.

ტაისონი ყურის ფორმის კანფეტებს გამოუშვებს

მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა კრივში, მაიკ ტაისონმა პუბლიკას საღეჭი კანფეტები წარუდგინა, რომელსაც ყურის ფორმა აქვს. პროდუქტს სახელად Mike Bites უწოდეს. აღსანიშნავია, რომ პირველად, მსგავსი პროდუქტის გამოშვების იდეა ტაისონმა ჯერ კიდევ 2019 წელს გაახმოვანა. ეს კანფეტები ევანდერ ჰოლიფილდთან ბრძოლის გამოძახილია, რომელიც 1997 წელს შედგა. მაშინ დაპირისპირების ერთ-ერთ ეპიზოდში, „რკინის მაიკი“ ისე გაბრაზდა მოწინააღმდეგეზე, რომ ყურში ჩააფრინდა კბილებით და ნაწილი მოაკვნიტა.

ჯილდო მომავალი უძილო ღამეებისთვის

ფეხმძიმე მალაიზიელმა ბლოგერმა, რომელიც TikTok-ზე აქვეყნებს ვიდეოებს, საკუთარი მეუღლე სასიამოვნოდ გააოცა – მომავალი უძილო ღამეებისთვის, რომელიც ქმარს ბავშვის გაჩენის შემდეგ ელოდება, ის ლამბორგინით დაასაჩუქრა. 19 წლის ანის ოსმანმა საოცნებო ცისფერი ავტომობილი Lamborgini Huracan Evo, რომლის ღირებულებაც 200 ათასი დოლარია, საყვარელ მეუღლეს ავტოსალონში, წითელი ბაფთით შეკრული დაახვედრა. კელანტანის შტატში, სადაც ბლოგერი ცხოვრობს, ტრადიციის მიხედვით, მშობიარობის შემდეგ, ქალი 100 დღის განმავლობაში საქმეს არ აკეთებს, მდგომარეობის გართულება რომ აირიდოს თავიდან. ამ ხნის განმავლობაში, ანისს ქმრის, 20 წლის მეწარმის – ველდან ზულკეფლის დახმარების იმედი აქვს. ამ ხნის მანძილე მას მოუწევს, მარტომ შეასრულოს მშობლის მოვალეობა, მაგალითად, ბავშვისთვის საფენებს გამოცვლა. სწორედ ამიტომ, ქალმა გადაწყვიტა, წინასწარ დაეფასებინა მეუღლის უძილო ღამეები, რაც მას მომავალში ელოდება.

მარტოობა მოწევასავით მავნეა

მეგობრების საერთოდ არარსებობა ადამიანის ჯანმრთელობისთვის ისეთივე მავნეა, როგორც თამბაქოს მოწევა, – ასეთ გასაოცარ დასკვნამდე მივიდნენ ჰარვარდის უნივერსიტეტის მკვლევარები. უმეგობრო ადამიანი ზუსტად ისევე რისკავს ამ ცხოვრებიდან ნაადრევად წავიდეს, როგორც დღეში ორი კოლოფი სიგარეტის მწეველები. ამერიკელმა მკვლევარებმა მარტოობასა და სისხლში სპეციფიკურ ცილებს შორის კავშირი აღმოაჩინეს, რაც თრომბების წარმოქმნის გზით, ინფარქტსა და ინსულტს იწვევს. ცნობილია, სოციალური იზოლაცია იწვევს ორგანიზმის სტრესულ რეაქციას, იზრდება ცილა ფიბრინოგენის მაჩვენებელი. სწავლულებმა ერთმანეთს შეადარეს ფიბრინოგენის დონე მეგობრებისა თუ ახლობლების რაოდენობასთან და გასაოცარი კავშირი აღმოაჩინეს. რაც ნაკლები იყო ეს რაოდენობა, მით მეტი აღმოჩნდა ცილის დონე.

უხორცო ბურგერებს გაყიდიან

ბრიტანული სუპერმარკეტების ქსელი Tesco აპირებს, უხორცო ვეგეტარიანული ბურგერების გაყიდვას, რომელსაც ბილ გეითსის კომპანია Beyond Meat ამზადებს. აშშ-ს ლაბორატორიებში გამოყვანილი საეჭვო ხორცისგან განსხვავებით, ახალი პროდუქტი მთლიანად მცენარეულ ნედლეულზეა დამზადებული, არ შეიცავს ცხოველურ ღეროვან უჯრედებს და არ გამოიცდება ცოცხალ ორგანიზმებზე. ბურგერების კატლეტს ბარდის, ქოქოსის ზეთისა და კარტოფილის სახამებლისგან ამზადებენ, ხორცისთვის დამახასიათებელ ფერს კი ჭარხლის წვენით აძლევენ. აღნიშნავენ, რომ ახალი ვეგეტარიანული Burger, რომლის შემადგენლობაშიც შედის პომიდორი, ხახვი, სალათის ფურცელი, მდნარი ყველი და მაიონეზი, მხოლოდ ვეგანებსა და ვეგეტარიანელებს კი არა, მათაც „გამოადგებათ“, რომლებსაც ხორცის მოხმარების შემცირების სურვილი აქვთ, ანუ ფლექსიტარიანელები არიან.

ნაპოვნი განძი ხელისუფლებას გადასცა

გერმანიის ქალაქ ბრემენის მცხოვრებმა სამზარეულოს ძველი კარადა იყიდა და მასში მფლობელების მიერ დამალული ოქროს ზოდები იპოვა. კონვერტში ჩადებული სამი ზოდი ერთ-ერთი უჯრის უკანა კედელზე იყო მიმაგრებული. ოქროს საერთო წონა 2.5 კილოგრამია. ამ რაოდენობის ძვირფასი მეტალის ღირებულება 83.5 ათას ევროა. მამაკაცმა აღმოჩენილი განძი ნაპოვნი ნივთების ბიუროში მიიტანა. ადგილობრივი ხელისუფლების თქმით, ის სწორად მოიქცა, რადგან კარადაში დამალული ოქრო მისი საკუთრება არ იყო. სამაგიეროდ, პატიოსან მპოვნელს დაჯილდოებენ და მას 2.5 ათას ევროს გადაუხდიან. პოლიციამ გაარკვია, რომ გაყიდვამდე კარადა შეძლებული პენსიონერის სახლში იდგა, რომელიც რამდენიმე თვის წინ გარდაიცვალა.

ავოკადოს ჭამაში ფულს გადაუხდიან

შეუძლია თუ არა ავოკადოს ადამიანს ჭარბი წონის დაკლებაში დაეხმაროს? – ამის გარკვევა სურთ სწავლულებს, ლინდის უნივერსიტეტიდან. ამჟამად სპეციალისტები მოხალისეებს ეძებენ, რომელთაც ექვსი თვის განმავლობაში, ყოველდღიურად, თითო ავოკადოს ჭამა მოუწევთ. მთლიანობაში, 1000 მონაწილეს შეარჩევენ. ექსპერიმენტის დასრულების შემდეგ, მათ 300-300 დოლარს გადაუხდიან და 24 ავოკადოსაც აჩუქებენ. იმის გამო, რომ ეს პოპულარული ხილი ყველაზე მეტი რაოდენობით შეიცავს ცხიმებს, ვიდრე სხვა, საეჭვოა, რომ ის ადამიანს ზედმეტი წონის მოშორებაში დაეხმაროს. თუმცა, სპეციალისტები იმედოვნებენ, რომ ავოკადოს რეგულარული მოხმარება მაინც შეამცირებს მუცლის არეში ვისცერალური ცხიმების რაოდენობას.

ორგანოებს ადამიანის უჯრედებისგან დაამზადებენ



დიდ ბრიტანეთში, სოუნსის უნივერსიტეტის სწავლულები 2.5 მილიონ გირვანქა სტერლინგს დახარჯავენ კვლევისთვის, როგორ გამოიყენონ ადამიანის უჯრედები და მცენარეული მასალა ცხვირისა და ყურების ხრტილის 3D-ბეჭდვისთვის. წარმატების შემთხვევაში, ამ ნოვატორულ მეთოდს გამოიყენებენ იმადამიანების დასახმარებლად, რომლებიც სხეულის ამ ნაწილების გარეშე დაიბადნენ ან დამწვრობის, ტრავმისა თუ ონკოდაავადების გამო დამახინჯდნენ. პლასტიკური ქირურგიის სპეციალისტების თქმით, სამგამზომილებიან პრინტერებს შეუძლიათ დააჩქარონ ოპერაციები, გაუუმჯობესონ პაციენტებს განწყობა და ფინანსური ხარჯებიც შეუმცირონ ქირურგიულ განყოფილებებს. ახალი მეთოდის კლინიკური ცდები უახლოეს წლებში უნდა ჩატარდეს.

თავისუფლებისთვის აეროპორტში გადასახლდა



ჩინელი მამაკაცი, თავისუფლების ძიებაში, ოჯახიდან წავიდა. მისი ისტორია ადგილობრივ მედიაში გავრცელდა. 60 წლის ვეი ცზიანგო, ჯერ კიდევ 2008 წელს გაიქცა სახლიდან. არ შემიძლია შინ დაბრუნება, რადგან იქ მე არანაირი თავისუფლება არ მაქვს, – განაცხადა მამაკაცმა. ოჯახის წევრები ვეის მოწევასა და დალევას უკრძალავდნენ. მას ულტიმატუმიც კი წაუყენეს – ან ოჯახში ცხოვრება, ან მავნე ჩვევები და ყოველთვიური ჯარიმა, ათასი იუანი (ეს მისი მთლიანი პენსიაა).

„როგორ ვიყიდო მერე სიგარეტი და დასალევი“, – აღშფოთდა ჩინელი და ბოლოს ისე შეწუხდა შინაურების პრეტენზიებით, რომ სახლიდან წასვლა გადაწყვიტა... პეკინის აეროპორტიდან პოლიციამ ის არაერთხელ დააბრუნა სახლში, მაგრამ უშედეგოდ, ყოველ ჯერზე ვეი უკან ბრუნდებოდა. „აეროპორტში მირჩევნია, აქ თავისუფლება მაინც მაქვს“, – აცხადებს გაქცეული მამაკაცი.

დაკონსერვებულმა გველმა უკბინა

ჩინელ მამაკაცს გველმა უკბინა, რომელიც სამკურნალო ნაყენის ქილაში იყო მოთავსებული. China Times-ის ცნობით, დაზარალებულმა „გველის ღვინო“ დააყენა: ბაზარში იყიდა შხამიანი რეპტილია, სპირტიან ქილაში ჩადო და ნაყენის მისაღებად ერთი წლით გააჩერა. მამაკაცი იმედოვნებდა, რომ ეს ნაყენი მის ავადმყოფ შვილს უშველიდა, რადგან მანამდე, ქრონიკული დაავადების სამკურნალოდ უამრავი პრეპარატი გამოიყენა, მაგრამ შედეგი ვერ მიიღო. ერთი წლის შემდეგ, როცა კაცმა ქილა გახსნა და იქიდან გველის ამოღება გადაწყვიტა, რეპტილიამ ხელზე უკბინა. დაზარალებული მაშინვე კლინიკაში გადაიყვანეს და ექიმებმა მისი გადარჩენა შეძლეს. ქილაში მოთავსებული გველი კი ორი მიზეზის გამო შეიძლებოდა არ მომკვდარიყო: პირველი – შესაძლოა, ქილა არ იყო მჭიდროდ თავდახურული და მასში შეღწეული ჟანგბადი საკმარისი აღმოჩნდა რეპტილიის სიცოცხლისთვის და მეორე – ზოგიერთი გველის უნარი, ანაბიოზში ჩავარდეს. ეს ნიშნავს, რომ ექსტრემალურ სიტუაციაში, რეპტილიებს შეუძლიათ საკუთარი მეტაბოლიზმის სიჩქარე აკონტროლონ და ამგვარად გადარჩნენ.

ბიტკოინით გამდიდრებული ქონებას არიგებს

უცნობმა მილიონერმა, რომელმაც ბიტკოინებით დიდი ქონება იშოვა, გადაწყვიტა, ქონების მნიშვნელოვანი ნაწილი ქველმოქმედებაზე დახარჯოს. თანხის შესაწირად მან ფონდი Pineapple Fund დაარსა, რომლის მიზანიც იმ 86 მილიონი დოლარის დარიგებაა, რაც კრიპტოვალუტის კურსის მნიშვნელოვანი ზრდით იშოვა. ანონიმი მილიონერის თქმით, ბიტკოინებით მოსალოდნელზე გაცილებით დიდი შემოსავალი მიიღო და ახლა უფრო მეტი ფული აქვს, ვიდრე დახარჯვა შეუძლია. ერთ-ერთი საიტის ცნობით, საკუთარი ფონდის მეშვეობით, მილიონერი უკვე დაეხმარა რვა სხვადასხვა ორგანიზაციას და უკვე შვიდი მილიონი დოლარი გაიღო.

აპენდიციტის ამოჭრა ინფარქტს გვიახლოვებს

აპენდიციტისა და ნუშურა ჯირკვლების ამოჭრა მიოკარდიუმის ინფარქტის რისკს ზრდის, – ასეთ უჩვეულო და საოცარ დასკვნამდე მივიდნენ შვედეთის სამეფო ინსტიტუტის სპეციალისტები, რომელთაც 40-დან 55 წლამდე ასაკის ქვეყნის ყველა მცხოვრებთა სამედიცინო ანკეტები შეისწავლეს. სწავლულები მიღებულ შედეგებს იმით ხსნიან, რომ ადამიანის ორგანიზმი იმდენად რთული და ურთიერთდაკავშირებული სტრუქტურაა, ერთი შეხედვით უმნიშვნელო ცვლილებები, შესაძლოა, მეტად სერიოზული შედეგების მიზეზი გახდეს. ჩატარებული კვლევებით დადასტურდა სწავლულთა ვარაუდები, რომ ადრეულ ასაკში, „ბრმა ნაწლავისა“ და „გლანდების“ ამოჭრა მნიშვნელოვნად ზრდის უკვე მოწიფულ ასაკში ინფარქტის განვითარების რისკს. აღმოაჩინეს, რომ იმ ადამიანებს, რომელთაც 20 წლამდე ამოიკვეთეს ეს ორგანოები, შემდგომი 23.5 წლის განმავლობაში, დიდი ალბათობა ჰქონდათ მიოკარდიუმის ინფარქტის ან გულის იშემიური დაავადებების განვითარებისა.

„ლუქსის“ კლასის ციხე ააშენეს

კამერები დიზაინერული რემონტით, მაღაზიები, სპორტული დარბაზები, ბინები მნახველებისთვის – ეს ახალი ციხეა დანიაში. ის კუნძულ ფალსტერზეა განთავსებული და მისი აშენება 160 მილიონი დოლარი დაჯდა. პატიმრებისთვის განკუთვნილ ბლოკებში არის რბილი საწოლი, პერსონალური მაცივარი და ტელევიზორი. ასეთმა ფუფუნებამ აღაშფოთა დანიის მცხოვრებნი და საზოგადოებისგან კრიტიკის ქარიშხალი გამოიწვია. კანონმორჩილ მოქალაქეებს მიაჩნიათ, რომ ციხე კურორტი არ არის, შესაბამისად, მას, ვინც იქ მოხვდება, სულ უნდა ახსოვდეს – საპატიმრო დაწესებულებაში დასასვენებლად კი არა, სასჯელის მოსახდელად მოხვდა.

სიცილის გამო გაასახლებენ

შვედეთის ქალაქ გეტებორგში, სასამართლომ სახლის მფლობელს ნება დართო, ბინიდან გამოასახლოს მცხოვრები, რომელიც მეზობლებს ღამით ხმამაღალი სიცილის გამო არ აძინებს. ღამღამობით, მამაკაცი რეგულარულად უყურებდა გასული საუკუნის 30-40-იანი წლების შვედურ კომედიებს. თავისი ხმამაღალი სიცილით კი ხელს უშლიდა მეზობლებს, რომლებმაც მასთან „კეთილი სიტყვით“ საქმის მოგვარება ვერ შეძლეს. ისინი იძულებულნი გახდნენ, სახლის მფლობელი კომპანიისთვის მისი გასახლება მოეთხოვათ. საქმე სასამართლომდე მივიდა, თუმცა თემიდამ მხიარული მეზობლის ქმედებებში გამოსახლების საჭიროება ვერ დაინახა. გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრეს, სადაც დადგინდა, რომ მეზობლები არ არიან ვალდებულნი, მამაკაცის გამომწვევი საქციელი აიტანონ.

ქორწილი კანიონის თავზე

ბევრი წყვილისთვის თავად ქორწილია თავბრუდამხვევი და სულისშემძვრელი მოვლენა. სწორედ ასეთი სადღესასწაულო ცერემონია ჰქონდათ ამერიკელ რაიან ჯენსკსა და კიმბერლი უიგლინს, რომელთათვისაც ეს დღე ნამდვილად დაუვიწყარი გახდა – მათ უფსკრულის თავზე იქორწინეს, რათა ამის შემდეგ, ერთობლივი ცხოვრებისას, შიში საერთოდ არ ჰქონდეთ. წყვილმა ცერემონია კალიფორნიაში, იუტას შტატში მდებარე კლდეებზე დაგეგმა, სადაც კლდეზე ცოცვის ფესტივალზე, ერთმანეთი პირველად ნახეს.

„დაქორწინება კანიონის თავზე – ეს ნდობის, ენერგიის, სიყვარულის დემონსტრირებაა და რომლითაც გვინდა, მთელი ცხოვრება ერთად გავატაროთ“, – ამბობს პატარძალი. ცერემონიის დასრულების შემდეგ, მათი ათი მეგობარი – ხელისმომკიდეები კლდიდან პარაშუტით გადახტნენ და უფსკრულში ყვავილების ფურცლები გადაყარეს.

ღვინოს ზღვის ფსკერზე აყენებს

ხორვატი მეწარმე ივო სეგოვიჩი პელეშაცის ნახევარკუნძულიდან, საზოგადოებას ღვინის ზღვის ფსკერზე დაყენების უჩვეულო მეთოდს აცნობს. ღვინოს ის ლამაზ კერამიკულ დოქებში – ამფორებში ასხამს და ცვილით ხუფავს. მეღვინის თქმით, ასეთი წესით დაყენებულ სასმელს ნაზი გემო და კენკრის არომატი აქვს. სამი თვის განმავლობაში, ჩამოსხმული ღვინო ჩვეულებრივ სარდაფში ინახება, ამის შემდეგ, ჰერმეტული ამფორებით, სპეციალური ყუთებით ზღვის ფსკერზე, 18-25 მეტრზე ეშვება და ღვინო იქ ერთ-ორი წელი „დაცურავს“. ამ ხნის განმავლობაში, ამფორები ხელოვნების ნიმუშებს ემსგავსებიან. ამიტომაც, ასე დაძველებულ ღვინოს, ივოს კომპანია Edivo Vina პირდაპირ ამ დოქებით ყიდის. წყალქვეშა ღვინის მარანი მნახველებისთვის ღიაა. მათ გამოცდილი მყვინთავების დახმარებით შეუძლიათ იქ ჩასვლა და უჩვეულო მარანთან ერთად, წყალქვეშა სამყაროს დათვალიერებაც.

სპერმას ძვლის ტვინისგან მიიღებენ

გერმანელ მკვლევართა ჯგუფმა ადამიანის ძვლის ტვინის ლულოვანი უჯრედებიდან სპერმატოზოიდების წინამორბედი უჯრედების მიღება შეძლო. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ლაბორატორიულ პირობებში, ხელოვნური სპერმის მიღების საქმეში მეცნიერებმა მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს. გამოკვლევა გეტინგენის უნივერსიტეტის ბაზაზე არსებულ ლაბორატორიაში ჩატარდა. გერმანელმა სწავლულებმა მოხალისე მამაკაცების ძვლის ტვინის ნიმუშებიდან აღებული ღეროვანი უჯრედები გამოიყენეს. უნდა აღინიშნოს, რომ ნორმაში ეს უჯრედები დიფერენცირდება ძვლის, ხრტილის, კუნთოვან ან ცხიმოვან უჯრედებში. მკვლევრებმა შეძლეს უჯრედების დიფერენციაციის მიმართულების შეცვლა და ისინი სპერმატოგონინად – ჩამოყალიბებული სპერმატოზოიდების წინამორბედებად აქციეს, რომლებიც ქრომოსომათა ორმაგ ნაკრებს შეიცავენ.

სრულყოფილ სპერმატოზოიდებად გადასაქცევად, სპერმატოგონინებმა მეიოზის დაყოფა უნდა გაიარონ, რომლის დროსაც მათში ქრომოსომათა რიცხვი ორჯერ მცირდება. პროცესის ამ სტადიამდე მიყვანა ლაბორატორიულ პირობებში ვერ მოხერხდა. ადამიანის ძვლის ტვინისგან სრულყოფილი სპერმის მისაღებად, როგორც გამოკვლევის ავტორები აცხადებენ, კიდევ 3-5-წლიანი გამოკვლევებია საჭირო. მხოლოდ ამის შემდეგ გახდება ცხადი, მსგავსი ტექნოლოგიები დაიმკვიდრებენ თუ არა ადგილს მედიცინაში, კერძოდ, მამაკაცის უნაყოფობის მკურნალობაში.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.